ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 165 პარასკევი 20 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 165

დღიური

— ს. ს. რ. კ. მთავრობამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა რუმინეთის მთავრობას.

— იტალიაში დაიწყო ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ. ფაშისტები რომში თავს უყრიან თავის მომხრეებს.

— ბულგარეთში შავრაზმელები სდევნიან კომუნისტებს ამხ. კოლაროვი კვლავ დაატუსაღეს.

— ინგლისში გაფიცვები გრძელდება.

მსოფლიოს ყველა ხალხებს და მთავრობებს

საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის დღიდან, მათ აერთიანებდა მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთ შორის დახმარება, რამაც შემდეგ მიიღო საკავშირო ხელშეკრულებათა ფორმა. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება აერთიანებდა მათ ბრძოლის საერთო მოთხოვნილებით გარედან კაპიტალისტურ სახელმწიფოების და შიგნივ საბჭოთა წესწყობილებაზე კონტრ-რევოლიუციის თავდასხმის წინააღმდეგ. მშრომელთა სოლიდარობა აერთიანებდა მათ განთავისუფლებულ ხალხთა ძმური თანამშრომლობის განხორციელების საერთო ამოცანაში. ისინი ერთად გამოვიდენ ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციიდან, რომელმაც დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტების ძალაუფლება. მათ ერთად განიცადეს ინტერვენციის და ბლოკადის მძიმე ისტორიული გაჭირვება და ძლევამოსილად გადაიტანეს იგი. ისინი ერთად შეუდგენ სახალხო მეურნეობის აღდგენის გრანდიოზულ მუშაობას ახალ ეკონომიურ წესწყობილების საფუძვლებზე მათ მიერ გამოვლილ დაუჯერებელ უბედურებათა შემდეგ.

უწევდენ რა ერთმანეთს მუდმივ ძმურ დახმარებას მთელი თავიანთი ძალებით და საშუალებებით, ისინი დიდხანს დარჩენ, თუმცა საკავშირო ხელშეკრულებებით დაკავშირებულნი, ცალკე სახელმწიფოებად.

მათ ურთიერთ დამოკიდებულებათა შემდეგმა განვითარებამ და საერთაშორისო პირობების მოთხოვნილებამ გამოიწვია მათი ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება.

მსოფლიო რეაქციის და იმპერიალისტურ მთავრობების აგრესიულ ლტოლვათა გაძლიერება და მასთან დაკავშირებული ახალ თავდასხმების საშიშროება აუცილებლად მოითხოვს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვითი ძალების ერთ საკავშირო ცენტრის ხელში გაერთიანებას.

იმავე დროს ომით, ინტერვენციით და ბლოკადით განადგურებულ საბჭოთა რესპუბლიკებში სამეურნეო აღმშენებლობა მიუწდომელი ამოცანაა მათ ძალ-ღონის გაერთიანების გარეშე და წარმატებით შეიძლება იქნეს განხორციელებული მხოლოდ მთელი კავშირის ერთიანი სამეურნეო ცენტრის გეგმაშეწონილ ხელმძღვანელობით.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების თვით ბუნება, საბჭოთა რესპუბლიკებში ახალ წესწყობილების მუდმივ განვითარების და განმტკიცების დროს, მოითხოვს მათი ძალღონის გაერთიანებას, რომელიც მიმართულია ერთ საერთო მიზნისაკენ.

ამას წინად მოწვეულ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის, ერთიან საკავშირო სახელმწიფოს დაარსება. თანასწორ უფლებიან ხალხთა გაერთიანება არის ნებაყოფლობითი, რომლის დროს არ იქნება ეროვნული ჩაგვრა და რომელიმე ხალხისათვის ძალდატანება დარჩეს ამ სახელმწიფოს საზღვრებში; იგი აძლევს უფლებას თვითეულ რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფალი გამოსვლისა და იმავე დროს გზას უხსნის თავისუფლად შესვლისათვის ყველა სოციალისტურ რესპუბლიკებს. აგრეთვე იმათ, რომელნიც მომავალში უნდა დაარსდენ.

6 ივლისს დეკლარაცია და ხელშეკრულება, რომელიც მიღებულ იქნა კავშირში შესულ საბჭოთა რესპუბლიკების მიერ, დამტკიცებული იქნა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ და შევიდა ძალაში, ვინაიდან აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკებისათვის თავიანთი ძალების გაერთიანება გარეშე თავდასხმათა მოსაგერიებლად, მოქმედებას იწყებს ერთიანი საერთო—საკავშირო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი.

საბჭოთა რესპუბლიკების ამოცანათა და მოთხოვნილებათა საერთო ხასიათის გამო კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინაშე, დაარსებულია გარეშე საქმეთა ერთიანი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი.

საგარეო ვაჭრობის სრული ცენტრალიზაციის აუცილებლობამ სახელმწიფოებრივ მონოპოლიის საფუძველზე, კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ დამონავებისაგან საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად აიძულა ისინი შექმნათ საგარეო ვაჭრობის ერთიანი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი.

სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილად დაყენება მოითხოვს მათგან ტრანსპორტის და კავშირის გაერთიანებას, ე. ი. გზათა და ფოსტა ტელეგრაფის საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატების შექმნას.

საკავშირო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვა დარგები ნაწილობრივ დაქვემდებარებულია საკავშირო ცენტრისათვის, თვითეულ რესპუბლიკაში საკუთარი ცენტრის დატოვებით, ნაწილობრივ რჩებიან მხოლოდ და მხოლოთ ცალკე რესპუბლიკების ხელში.

სახალხო მეურნეობის და ფინანსების უშუალო მართვა-გამგეობა, სასურსათო საქმის ორგანიზაცია, დაქირავებულ შრომის უფლებათა და ინტერესების სახელმწიფოებრივი დაცვა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მთელ სახელმწიფო აპარატზე კონტროლის განხორციელება იქნება ერთსა და იმავე დროს საერთო-საკავშირო ცენტრის ხელშიაც, რამდენადაც მათთვის საჭიროა საერთო ხელმძღვანელობა ერთიან ცენტრიდან, და ცალკე ცენტრების ხელშიაც თვითეულ საკავშირო რესპუბლიკაში, რამდენადაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათთვის საჭიროა განსაკუთრებული ხელმძღვანელობა.

კომისარიატები, რომელნიც ისახავენ სპეციალურათ ეროვნულ ამოცანებს, რომელთაც საქმე აქვთ ეროვნულ ყოფა-ცხოვრების თავისებურებასთან, როგორც მაგალითად: განათლების, მიწათმოქმედების, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სხვა, იარსებებენ მხოლოთ საკავშირო რესპუბლიკებში მათი სრული ხელმძღვანელობის ქვეშ.

მთელი კავშირის მშრომელთა მასების ერთიანი ნებისყოფა გამოიხატება მის უზენაესს ორგანოში—საბჭოების საერთო-საკავშირო ყრილობაში, მაგრამ თვითეულ ეროვნებას ეძლევა წარმომადგენლობა ეროვნებათა საბჭოში, რომელიც ითანამშრომლებს თანასწორ უფლებებში ყრილობის მიერ არჩეულ საკავშირო საბჭოსთან.

ამგვარათ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი საკავშირო სახელმწიფო მიზნათ ისახავს ყველა ხალხებთან მშვიდობიანობის დაცვას. თანასწორ უფლებიანი ეროვნებანი მჭიდრო ურთიერთობაში და შეთანხმებულ მუშაობაში ხელი-ხელ ჩაკიდებული განავითარებენ თავიანთ კულტურას და კეთილდღეობას და განახორციელებენ მშრომელთა ხელისუფლების ამოცანებს.

არის რა ჩაგრულ ხალხთა ბუნებრივი მოკავშირე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ეძებს ყველა ხალხთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას და ეკონომიურ თანამშრომლობას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მიზნათ ისახავს მთელი მსოფლიო მშრომელთა ინტერესებისათვის ხელის შეწყობას თვალუწვდენელ სივრცეზე, ბალტიის, შავი და თეთრი ზღვებიდან წყნარ ოკეანემდე, იგი ახორციელებს ხალხთა შორის ძმობის და შრომის სამეფოს, ცდილობს რა ამავე დროს ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეები: **მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ა. გ. ჩერვიაკოვი.**

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: **ა. ხ. ენუქიძე, ლ. ბ. კამენევი, ფ. ი. კონი, დ. ი. კურსკი, დ. ზ. მანუილსკი, ა. ფ. მიასნიკიანი, ხ. გ. რაკოვსკი, ი. ი. რუძუტაკი, ა. ი. რიკოვი, ტ. ი. საპრონოვი, პ. გ. სმიდოვიჩი, ი. ვ. სტალინი, მ. პ. ტომსკი, მ. გ. ცხაკაია, ხიბირ ალიევი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1923 წ. 13 ივლისი.

ბულგარეთის ამბები

ბულგარეთის ფაშისტები თავიანთ „მოღვაწეობას“ სულ უფრო და უფრო აფართოვებენ.

დღევანდელი ცნობით, კვლავ დაუპატიმრებიათ ამხ. კოლაროვი, ბულგარეთის კომპარტიის ბელადი და კომინტერნის აღმასკომის წევრი.

გააფთრებული კამპანია სწარმოებს კომუნისტური პარტიის და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

აქ საგულისხმო ის არის, რომ ამ კამპანიაში სოციალ-დემოკრატები, ე. წ. ფართე სოციალისტები უმშვენებენ მხარს მშობლიურ ფაშისტებს. ისინი უკანასკნელებზე არა ნაკლები დაჟინებით მოითხოვენ ჩვენი პარტიის ალაგმვას.

აგრეთვე აღსანიშნავია ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი. ბულგარეთის ხელისუფლებამ, ბულგარეთის შავრაზმელებმა გაუგონარი სიმხეცე ჩაიდინეს რუსეთის წითელ ჯვრის მისიის მიმართ. ბარონ ვრანგელის მომხრეებთან ერთად ფაშისტებმა აწამეს და მოკლეს ამ მისიის რამოდენიმე თანამშრომელი.

წითელ ჯვრის მუშაკები და აგრეთვე რუსეთის ის მოქალაქენი, რომელთაც სწამებენ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეობას, ფაქტიურად კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა დასაცავად არავითარი გარანტიები არ არსებობს.

ამასთან შეჩერებულია მუშაობა რუს ჯარისკაცთა დასაბრუნებლად სამშობლოში. ვრანგელის „არმია“ კარგა ხანია, რაც დაშლილია, ბევრ ჯარისკაცს სურს თავის ქვეყანაში დაბრუნება. მაგრამ ვრანგელი, რაც არ უნდა დაჯდეს, ცდილობს იყოლიოს თავისი „არმია“ და, ბულგარეთის ფაშისტების დახმარებით, ყოველნაირად უშლის ხელს რუს მოქალაქეთა რეპატრიაციას.

ყველაფერი ეს ჩვენ არ გვიკვირს. ყველაფერი ეს მოსალოდნელი იყო. ფაშისტები რიღას ფაშისტები იქნებოდნენ, თუ არ გაუსწორდებოდნენ კომუნისტურ პარტიას, როცა ამის საშუალება მიეცათ, თუ არ გამოიჩენდნენ მტრობას და მძულვარებას რევოლიუციის კერის, საბჭოთა რუსეთის მიმართ.

ჩვენ აქ გვაინტერესებს სხვა საკითხი, სახელდობრ: რა როლი ითამაშა ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ ფაშისტურ გადატრიალების დროს და როგორი უნდა იყოს შემდეგში მისი პოზიცია.

ეს საკითხი საყურადღებოა არა მარტო თავის თავად; ბულგარეთის მაგალითს აქვს უეჭველად საერთაშორისო მნიშვნელობა, მისი გაკვეთილის გამოყენება შეიძლება და საჭიროა სხვაგანაც.

ბულგარეთის კომპარტიის ცეკამ ფაშისტურ გადატრიალების მომენტში საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან ხელი დაიბანა და გამოაცხადა „ნეიტრალიტეტი“ იმ შეტაკებაში, რომელიც მოხდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიას და სოფლის კულაკებ შორის. შედეგი ვიცით. გაიმარჯვა ფაშისტურმა ბურჟუაზიამ.

შესაძლებელია საქმე სულ სხვა გვარად დატრიალებულიყო, რომ კომპარტია ჩაბმულიყო ბრძოლაში. ბულგარეთის კომპარტიას მნიშვნელოვანი ძალა ყავს მუშათა კლასში, მას თანაგრძნობით უყურებს ღარიბ გლეხობაც, რომლის რიცხვი ბულგარეთში საგრძნობია.

მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის განწყობილება რევოლიუციონური იყო. ეს გარემოება ვერ გამოიყენა ბულგარეთის კომპარტიის ცეკამ და ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვა.

ჩვენ ამ ჟამად არ გამოუდგებით დაწვრილებით იმის გამორკვევას, თუ რატომ მოხდა ასე. შეიძლება ხსენებულ ცეკას პარტია მომზადებულათ არ მიაჩნდა ბრძოლისათვის ძალა-უფლების დასაპყრობად და ეშინოდა ამ ბრძოლაში ჩაბმით და მისი შედეგებით პარტიულ ძალების განადგურების. ესაა უსაფუძვლო უნდობლობა თავის ძალებისადმი და რევოლიუციონური გაუბედაობა.

გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ აქ დიდი როლი ითამაშა პარტიის ზედაწრეების შემცდარმა შეხედულებამ გლეხობის შესახებ. მათ ვერ გაითვალწინეს გლეხობის ღარიბი ნაწილის რევოლიუციონური როლი, და ისინი არ შეეცადნენ გლეხობის ჩაბმას რევოლიუციონურ ბრძოლაში, მის და მუშათა კლასს შორის ერთიანი ფრონტის შექმნას.

ასეა თუ ისე, ბულგარეთის კომპარტიის შემცდარმა პოზიციამ ხელი შეუწყო ფაშისტების გამარჯვებას. და ამ გამარჯვების სუსხი პირველად იგემეს თვით კომუნისტებმა.

ეს მწარე გაკვეთილი, ცხადია, ამაოდ არ ჩაივლის. ბულგარეთის კომპარტია შეეცდება ძალების მობილიზაციას, გლეხობასთან მჭიდრო კავშირის გაბმას, შეიჭრება მასში „მუშურ-გლეხურ მთავრობის“ ლოზუნგით, შესძლებს მდგომარეობის გამოსწორებას და გაბედულ მოქმედებას ფაშისტებისაგან თავდასაცავად და საჭირო მომენტში მათ წინააღმდეგ იერიშზე გადასასვლელად.

რაც შეეხება ბულგარეთის ფაშისტური ხელისუფლების მოქმედებას რუსეთის მიმართ,—მშრომელთა დიდ რესპუბლიკას ვერაფერი დააკლეს უფრო „ბუმბერაზ“ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, მით უმეტეს ვერაფერს გახდებიან მათი ფინიები, ბულგარეთის ფაშისტები.

საბჭოთა ხელისუფლებას შესწევს ძალა ამ ფინიების ყურის ასაწევად და გონში მოსაყვანად.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

მოწოდება

მენშევიკურ პარტიის ქ. ტფილისის მე-4-ე რაიონის წევრებისადმი.

ამხანაგებო, ისტორიის სამსჯავრო არის ყველაზე მართალი და მიუდგომელი სამსჯავრო. ამ სამსჯავრომ ჩვენ გვითხრა და თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა, რომ მენშევიკური პარტიის პოლიტიკა იყო შემცდარი, რომ დემოკრატიზმის გზა გვაშორებდა ჩვენ საბოლოო იდეალის—სოციალიზმისაგან და გვამყოფებდა მტრულ განწყობილებაში პროლეტარიატის ინტერესებისადმი.

ჩვენ გამოუცხადეთ მტრობა ოქტომბრის რევოლიუციას და ამით, ჩვენდა მოულოდნელად, მოვექეცით მუშა კლასის მტრების ბანაკში, მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ბანაკში.

მაგრამ ადრე თუ გვიან ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით ამაში და ეხლა, როდესაც მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს მთელი საზოგადოების ორ ბანაკად—პროლეტარიატად და კაპიტალიზმად გადაჯგუფება,—როდესაც ეს ორი ბანაკი ერთმანეთს სასტიკ ბრძოლას უცხადებს, ყველა საშუალო მცხოვრებნი და პარტიული ჯგუფები უნდა გაითქვიფონ ამ ორ მთავარ ბანაკს შორის.

და ჩვენ გადაჭრით უნდა ვთქვათ: პროლეტარიატთან თუ ბურჟუასთან.

ამხანაგებო! ბევრმა ჩვენთაგანმა მრავალი წლები გაატარეს კატორღაში, ციმბირში და ციხეებში. ჩვენ ვსწირავდით სიცოცხლეს მუშათა კლასის კეთილდღეობას. და დღეს მით უმეტეს ჩვენ უნდა ვიყოთ მათ რიგებში და მონაწილეობა მივიღოთ შრომასა და კაპიტალს შორის წარმოებულ მსოფლიო შეტაკებაში, როგორც მუშათა საქმისათვის აქტიურმა მებრძოლებმა.

დღეს 4-ე რაიონის ყოფ მენშევიკების კონფერენციაზე ჩვენ ეს უნდა ვსთქვათ გადაჭრით და გამოვიმუშავოთ მომავალი ჩვენი პოლიტიკური და რევოლიუციონური მუშაობის გეგმა.

მრავალი ამხანაგები უკვე ოფიციალურად გავიდენ მენშევიკურ პარტიიდან, ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია მასთან კავშირი, მაგრამ ემზადებიან ამისათვის, რადგან დარწმუნდენ ამის აუცილებლობაში.

ჩვენ დღეს ვიწვევთ ყველა ამხანაგებს კონფერენციაზე, სადაც ამხანაგურ წრეში ერთმანეთს თავისუფლად უნდა გაუზიაროთ აზრები და გადავსჭრათ ყველა საჭირ-ბოროტო საკითხები.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მუშები და ინტელიგენტები, რომელთაც გამოუვლიათ მრავალ წლების რევოლიუციონური მუშაობა, გამონახავენ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის ისეთ გზას, რომელიც მისაღებია პროლეტარიატის იდეალების გამარჯვების ინტერესების მიხედვით.

ქ. ტფილისის 4-ე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ჯგუფი.

მესამე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია

17 ივლისს შესდგა მესამე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია, რომელსაც ესწრება 58 კაცი.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი.

1. მოხსენება ამხ. ლუკაშევიჩისა ბოლშევიზმის და მენშევიზმის შესახებ.
2. დეკლარაციის მიღება.
3. დელეგატების არჩევა საქალაქო კონფერენციაზე.

კრების პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: დოლიძე, ვაჭარაძე და ბესოშვილი.

ამხ. ლუკაშევიჩის მოხსენება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თვითმპყრობელობის დროს მენშევიკები და ბოლშევიკები იბრძოდნენ ერთად მის წინააღმდეგ. 1903 წელში მოხდა პარტიის გათიშვა. მემარცხენე ფრაქციამ ბოლშევიკების სახით იწყო ბრძოლა მემარჯვენე ფრაქციის წინააღმდეგ, რადგან ეს უკანასკნელი დაადგა ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის გზას.

იმპერიალისტური ომის დაწყების დღეებში მეორე ინტერნაციონალმა არამც თუ არ გაილაშქრა ამ ომის წინააღმდეგ, არამედ მისი წევრები გამოვიდნენ ომის სასარგებლოდ, მათ ხელი მისცეს სამხედრო კრედიტებს.

ძველი მენშევიკი ცეკისტი ამხ. მარტინოვი, ეხლა რ. კ. პ. წევრი, მოუწოდებს მთელ მუშათა კლასს გაერთიანდნენ კაპიტალისტური წყობილების მოსასპობად. ამხ. მარტინოვი აღიარებს, რომ ერთად ერთი გზა პროლეტარიატისათვის—ესაა გზა მესამე ინტერნაციონალისა.

ამხ. ლუკაშევიჩი ეხება ნაციონალურ საკითხს და აღნიშნავს, რომ რ. კ. პ. მე-12 ყრილობამ გადასჭრა ეს საკითხი და მან თავისი დადგენილებით გამოგლიჯა იარაღი მოწინააღმდეგებს.

ამხ. ქურდევანიძე.

სად. ადთაგლის მუშების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ქურდევანიძე, რომელიც უერთდება ამხ. ლუკაშევიჩს. ამხ. ქურდევანიძე აცხადებს, რომ მუშათა კლასისათვის ცხადი გახდა აუცილებლობა ჩამოშორებოდა მოღალატე მენშევიკურ პარტიას და მთელი თავისი ძალღონე მოეხმარა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

ის მოუწოდებს კონფერენციას სავსებით შეუერთდეს მე-3-ე ინტერნაციონალს.

ამხ. კაციტაძე.

სიტყვას ამბობს სასურსათო საწყობის მუშა კაციტაძე, რომელიც იზიარებს წინა ორატორების აზრებს და მოუწოდებს კონფერენციას შექმნას ერთიანი ფრონტი ფაშიზმთან საბრძოლველად.

ამხ. ბესოშვილი.

ქალ. სასაკლაოს მუშა ამხ. ბესოშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა კომუნისტური იდეების განმტკიცება და წინადადებას იძლევა შევიდნენ შტაბში, საიდანაც გამომდინარეობენ ეს იდეები, ე. ი. კომინტერნში.

ამხ. ვაჭარაძე.

ამხ. ვაჭარაძე აცხადებს, რომ ბოლშევიზმი იბრძვის არა მარტო რეაქციის, არამედ იმ პარტიების წინააღმდეგაც, რომელნიც ბურჟუაზიას უთანხმდებიან. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ როცა ბოლშევიკები იბრძოდნენ რეაქციის წინააღმდეგ, რუსეთის პროლეტარიატისათვის საშინელ დღეებში, მაშინ მენშევიკები აქედან ეხმარებოდნენ ამ რეაქციის გენერლებს, მუშებსა და გლეხებთან საბრძოლველად.

არჩევნები.

ყოფილ მენშევიკების სამოქალაქო ყრილობაზე არჩეული არიან შემდეგი დელეგატები: ვაჭარაძე, ხურცილავა, პაპიაშვილი, ყაზაროვი ბუღდან, გელაშვილი ვასო, მჭედლიშვილი, ბესოშვილი, გვაზავა, არეშიძე, ფორიძე მათე და ქურდევანიძე.

დეკლარაცია

მენშევიკურ პარტიის 3-ე რაიონის ყოფილ წევრთა კონფერენცია, სავსებით უერთდება რა ძირითად დებულებებს. რომელიც მიიღო 1 და 2 რაიონების კონფერენციამ, ადგენს:

1) მენშევიკურ პარტიიდან გასვლა არის შეგნებული გადაწყვეტილება, რომელიც მოხდა საქართველოს და საერთოდ რუსეთის მენშევიზმის ტაქტიკის ღრმა ანალიზის შემდეგ.

2) პროლეტარიატის ხელში ყველა რევოლიუციონურ მონაპოვართა შენარჩუნების და მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების და კლასთა ბრძოლის განმტკიცების მიზნით, კონფერენცია მოუწოდებს მუშათა საქმისათვის ყველა სინდისიერ მებრძოლთ გაერთიანებისაკენ და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ კაპიტალიზმის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

3) აღიარებს რა მენშევიკურ პარტიის ტაქტიკას შემცდარად და მუშათა კლასისათვის საზიანოთ, როგორც ამ პარტიის საქართველოში ბატონობის დროს, ისე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კონფერენცია უარყოფს მენშევიკურ პარტიაში მიღებულ ფორმულას: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ და მოუწოდებს ყველას დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

4. აცხადებს რა გაუქმებულად მენშევიკურ პარტიის 3-ე რაიონის ორგანიზაციას, კონფერენცია წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას უფრო ფართო კონფერენცია ტფილისის და საქართველოს მასშტაბით, რათა გამორკვეულ იქნას საკითხი საქართველოში მენშევიკურ პარტიის არსებობის შესახებ და შემუშავდეს ჩვენი მომავალი მოქმედების პროგრამა საბჭოთა ხელისუფლების ერთად-ერთ ხელისუფლებად აღიარების საფუძველზე, ხელისუფლების, რომელიც სდგას პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის ინტერესების დაცვის პოზიციაზე.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთობას!

გაუმარჯოს 3 კომინტერნს!

ხელს აწერენ:

1. მაჭარაძე ნიკოლოზ პარტიაში ირიცხება—1918 წ., 2. დოლიძე 1907 წ. 3. ალლაძე ნიკოლოზ 1920 წ. 4. კაციტაძე ქრისტეფორე 1919 წ. 5. ზანგალაძე ვასილი 1918 წ. 6. მჭედლიშვილი გიგო 1917 წ. 7. მინთაძე თევდორე 1902 წ. 8. დიმიტრიშვილი კოტე 1905 წ. 9. ადამოვი 1898 წ. 10. შექთიშვილი ალექსი 1918 წ. 11 დალაქიშვილი 1901 წ, 12. პაპიაშვილი მოსე 1917 წ. 13. ბეკოშვილი 1905 წ. 14. შუდიქუაშვილი 1918 წ. 15. ყაზაროვი ბუღდან 1903 წ. 16. ოსიპოვი მიხეილი 1917 წ. 17. ჯინშიძე ალექსანდრე 1917 წ. 18. ბურაძე ილუა 1905 წ. 19. არეშიძე 1917 წ, 20. ჩარიკიშვილი ლ. 1905 წ. 21. გელაშვილი ვასილი 1905 წ. 22. ნოზაძე ვასილი 1918 წ. 23. გეგეშვილი ლევან 1917 ს. 24. წივწივაძე გიორგი 1918 წ. 25. ხუციშვილი დათიკო 1914 წ. 26. ზახტაძე რაჟდენ 1899 წ. 27. ჯგერია ნოე 1919 წ. 28 ქირთავა მიხეილი 1905 წ. 29. ხურცილავა ფილიპე 1904 წ. 30. კალთაძე 31. თამაზაშვილი გიორგი 1919 წ. 32. ქურდევანიძე 1918 წ. 33. ქორიძე მათე 1905 წ. 34. ბურჯანაძე მ. 1919 წ. 35- ბესოშვილი 1905 წ. 36. ჰუბაბრია ვლადიმერ 1918 წ. 37. მზარეული იაგორ 1918 წ, 38 გვაზავა გიორგი 1905 წ. 39. ფარცხმელაძე სვიმონ 1916 წ. 40. ესიაშვილი ვახილი 1905 წ. 41. უმიკაშვილი ალექს. 1905 წ. 42. ბეკოშვილი ვასილი 1905 წ. 43. შულიძე ალექსანდრე 1905 წ. 44. აბუაშვილი დარჩო 1914 წ. 45. ჰონიაშვილი ილიკო 1918 წ. 46. გერმანიშვილი დიმიტრი 1918 წ. 47. ჰონიაშვილი იოსები 1918 წ. 48. დვინიშვილი იოსები 1913 წ. 49. თხინვაშვილი 1905 წ. 50. ნადირაშვილი ივანე 1918 წ. 51. სირანაშვილი არიუტიუნ 1918 წ. 52. ბეგლარაშვილი 1917 წ. 53. ტალახაძე კონსტანტინე 1902 წ. 54 შარაშანიძე კაპიტონი 1919 წ. 55. ქოსაშვილი 1903 წ. 56. დურგლიშვილი 1920 წ. 57. უნგლაძე სერგო 1917 წ. 58- ნაფეტვარიძე 1919 წ.

პოლიტიკურ თვითმკვლელებს

(ყოფილ მენშევიკის წერილი).

იმპერიალისტურ ომის და რევოლიუციის პროცესში რუსეთის სოც.-დემოკრატია და აგრეთვე საქართველოსაც თანდათან შორდებოდა თავის დანიშნულების გზას და ობიექტიურად პროლეტარიატის მტრის ბანაკში ექცეოდა. ამან ბუნებრივად შეჰქმნა პარტიაში იდეური უთანხმოება და დღეს ფაქტია, რომ სოც.-დემოკრატიის ყველა ის ელემენტები და განსაკუთრებით მისი ქვედა ფენები, მუშათა კლასი, რომელიც ორგანიულად დაკავშირებულია რევოლიუციასთან, მასიურად სტოვებს ს.-დ. პარტიას და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე დგება. ასე მოხდა რუსეთის უდიდეს სამრეწველო პუნქტებში, როგორიც არის: ოდესა, ეკატერინოსლავი, კრივოი როგის რაიონი, ურალი, კამენსკაია და სხვა. ასე ხდება საქართველოში, სადაც მენშევიკურ პარტიას არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და მას მაგრადაც ჰქონდა ფეხი გადგმული. იქ, სადაც მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციები ნამდვილ რევოლიუციონურ ელემენტების ხელში ივყვნენ, სადაც ამ პარტიას წმინდა პროლეტარული ელემენტები ედგენ სათავეში, ს.-დემოკრატიის ლიკვიდაცია თვით კომიტეტების ინიციატივით მოხდა, როგორც ამას ეკატერინოსლავში ჰქონდა ადგილი. საქართველოში კი მენშევიკური არალეგა-

საეკონომიო-საფინანსო წერილები

III.

სახალხო ბანკი და ჩვენი მრეწველობა.

ძველ და კულტურულ ქვეყანას აქვს საკუთარი და თავისებური ეკონომიური წარსული და აწმყო. საქართველოც, რასაკვირველია, არაა მოკლებული ასეთ წარსულს და აწმყოს.

ბუნებისაგან საქართველო უხვათაა დაჯილდოვებული და მას მრავალგვარი სიმდიდრე მოეპოვება, მაგრამ აქ მეურნეობა შესაფერად მაინც ვერ ვითარდებოდა. „მიუხედავათ ბუნების დიდი სიმდიდრისა, განსაკუთრებით მთის მადნეულობისა, სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენი მრეწველობა შესაფერად ვერ ვითარდებოდა; მიზეზთა შორის,—ამბობს ამხ. გ. გრიგორიანი,*) — უპირველესი იყო შემდეგი: ამიერ-კავკასია პოლიტიკურათ მთლიან რუსეთის ნაწილს შეადგენდა, რუსეთის ეკონომიურ ორბიტაში იყო მოქცეული და რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიურ განზრახვების და პერსპექტივების დიდ გავლენას განიცდიდა. რადგან რუსეთის კაპიტალი თვით უძლური იყო, მას პროტექციონიზმის სისტემა ფართოდ უნდა გამოეყენებია. რუსეთის ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო ელემენტების გაჩენა სრულიადაც არ ეთანხმებოდა რუსეთის მრეწველობის ინტერესებს; მას (მრეწველობას) ეშინოდა კონკურენციის. გარდა ამისა მრეწველობის ამიერ-კავკასიაში განვითარებას ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ რუსეთის მრეწველობა აქ ყოველგვარ ბაზარს დაკარგავდა: ის აქ თავის ფაბრიკატებს ვერ გაასაღებდა და ნედლ მასალას ვერ შეიძენდა. ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარება სხვა საშიშროებასაც წარმოადგენდა რუსეთის სამრეწველო კაპიტალისათვის ამიერ-კავკასიის მეზობელ ქვეყნების ბაზრებზე, განსაკუთრებით სპარსეთში“. ასე დაასურათა ამხ. გ. გრიგორიანმა ამიერ-კავკასიის პირველ საეკონომიო თათბირზე რუსეთ-ამიერ-კავკასიის შორის არსებულ ეკონომიური ურთიერთობის ხასიათი. ამიერ-კავკასიაზე ჩრდილოეთის უარყოფითი გავლენამ, როგორც ამას ამტკიცებს ამხ. გრიგორიანი, წარსულში მეტად შეაფერხა მრეწველობის განვითარება საქართველოში, მაგრამ ზოგიერთ წარმოებამ ჩვენში მაინც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ასეთია შავი ქვის მრეწველობა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, თამბაქოს, ტყავეულობის, ავეჯის, საპნის, კონიაკის ქარხნები და მთელი რიგი სხვა ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან ფაბრიკა-ქარხნებისა გარდა სოფლის მეურნეობისა, რომელსაც წარმოადგენს მევენახეობა, მეღვინეობა, მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა, მებაღეობა, მეხილეობა, მეცხვარეობა, მატყლის დამზადება, ბამბის პლანტაციები, სარძეო ფერმები და შვეიცარიული ყველის დამზადება, ჩაის და მანდარინის პლანტაციები და ბევრი სხვა.

პირველ იანვარს 1923 წ. მარტო სახალხო მეურნ. უმაღ. საბჭოს განკარგულებაში ითვლებოდა **) 106 წარმოება, რომელთა შორის 80 წარმოება მუშაობდა და ამ წარმოებებში იყო 4132 კაცი, საშუალოდ თითო წარმოებაზე მოდიოდა 52 მუშა. ამ ჟამად, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს განკარგულებაში არის 98 წარმოება.

საქართველოში ყველა წარმოებები დიდ გაჭირვებას განიცდიან: მანქანები ცუდ მდგომარეობაშია, არაა საკმაო საბრუნავი თანხა და სხვ. მხოლოდ სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს განკარგულებაში მყოფ წარმოებათათვის საჭირო თანხის მინიმუმი, თუ ჭიათურს და ნავთის წარმოებას არ ვიანგარიშებთ, უდრის 1,6 მილიონ ოქროს მან., და ამავე წარმოებათა ძირითადი თანხის აღსადგენათ არის საჭირო 5,5 მილიონი ოქრ. მან. საქართველოს მრეწველობის სხვა დარგებსაც და ვაჭრობის მინიმალურ მოთხოვნილებას თუ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჩვენი მრეწველობა-ვაჭრობის უპირველესი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საჭიროა კრედიტის სახით დაახლოვებით 2—3 მილიონი ოქროს მან. მაშასადამე, საქართველოს სჭირდება ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მის ვაჭრობა-მრეწველობას სამი მილიონამდე (ოქროს ანგარიშზე) კრედიტს გაუხსნის. საქართველოს მთავრობა იზრუნებს იმაზე, რომ მის განკარგულებაში იყოს ასეთი საკუთარი საკრედიტო დაწესებულება. ასეთი დაწესებულება უკვე არსებობს საქართველოში სახალხო ბანკის სახით, რომელიც მხოლოდ ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას ემსახურება. მიუხედავათ იმისა, რომ მისი უფლებები ბევრნაირად იყო შეკვეცილი, მისი უნარიანობა ვიწრო ფარგლებში იყო ჩაყენებული და საერთო პირობები მას ხელს არ უწყობდა გაეფართოებია თავისი ოპერაციები, შეკრიბა თავის სალაროში კერძო პირების და საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებების ხელში დაფანტული თანხები, რომელიც მეურნეობას ვერ ხმარდება,—მიუხედავათ ასეთ უკუღმართ პირობებისა, სახალხო ბანკმა მაინც დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მრეწველობას, როგორც ამას ამტკიცებს სახალხო ბანკის უკანასკნელ ანგარიშებებიდან ამოღებული ზოგიერთი ციფრები. სახალხო ბანკს საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის თითქმის ყველა მთავარ წარმომადგენელთათვის თვალსაჩინო დახმარება გაუწევია მათთვის უკიდურეს ფინანსიურ გაჭირვების ხანაში და დღესაც ირიცხება არამცირე თანხები მრავალ დებიტორებზე და მათ შორის:

შავი ქვის მრეწვ. საზოგადოებაზე	24.000 ჩერვ.
სახ. მეურნ. კომისარიატზე	30.000 „
მიწ.-მოქმ. კომისარიატზე	13.000 „
ჯანმრთ. სახ. კომისარიატზე	5.000 „
კოოპერატიულ ორგანიზაციებზე	36.000 „
სხვა და სხვა დაწეს. და პირებზე	24.000 „
სახალხო ბანკის განყოფილებებზე ირიცხება	20.000 „
სულ	152.000 ჩერვ.

საერთოდ ჩვენს ვაჭრობა მრეწველობისათვის სახალხო ბანკს სესხად მიცემული აქვს დაახლოვებით 1,4 მილიონ ოქროს მანეთამდე. ეს თანხა ნახევარზე მეტია იმ თანხის, რომელიც შეადგენს ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილების მინიმუმს. ეს უკვე დიდი მიღწევაა. არსად საბჭოთა რესპუბლიკებში, გარდა საქართველოსი, არ არსებობს ისეთი ბანკი, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის მინიმალურ მოთხოვნილების მეათედ ნაწილსაც აკმაყოფილებდეს. ამ მხრით შედარებით სხვებთან ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულათ დამაკმაყოფილებელი და სანუგეშოა. მაგრამ ამ შედარებით უკეთესი მდგომარეობით და მინიმალური მოთხოვნილებათა ნახევრათ დაკმაყოფილებით საქართველოს მთავრობა, რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილდება. ის, უეჭველია, ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავისი საკუთარი სახალხო ბანკი განამტკიცოს და გააძლიეროს, შეკრიბოს აქ რაც შეიძლება მეტი თანხები, რომ სახალხო ბანკის პასსივი გადიდდეს, მისი აქტიური მუშაობა გაფართოვდეს, და საქართველოს მრეწველობამ მისთვის საჭირო კრედიტის მინიმუმი საქართველო ბანკში მოიპოვოს. რომ ეს ბანკი მთელი თავის უნარს და საშუალებას მხოლოდ და შესაფერად საქართველოს მრეწველობის აღორძინებლად მოიხმარს, ამის გარანტიას იძლევა ის, რომ ეს ბანკი საქართველოს მთავრობის განკარგულებაშია.

სახალხო ბანკის სხვა და სხვა გვარ სიმდიდრის ღირებულება უახლოვდება ორ მილიონ ოქროს მანეთს. ცოტა დახმარება, ცოტა მეტი ენერგია და საქართველოს სახალხო ბანკს ექნება ვაჭრობა მრეწველობისათვის საკმაო თანხა, და მთავრობას და ხალხს გაუადვილდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების საქმის გაძღოლა და მოწყობა.

ახლა განზრახულია და იმედია მალე განხორციელდება სასოფლო სამეურნეო მრეწველობისათვის საკუთარი ცალკე კრედიტის მოწყობის საქმე. ასეთი სპეციალი კრედიტი ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, და როდესაც ეს მეორე ბანკი დაარსდება, ალბათ კოოპერატიული ბანკის გარდაქმნა-გადიდების გზით, მაშინ სახალხო ბანკს გვერდს ამოუდგება მისი უმცროსი ძმა და ორივე ხელი-ხელ ჩაჭიდილი, ერთი მეორესთან შეთანხმებით უფრო ადვილათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას: პირველი—ფაბრიკა-ქარხნის, სამთო მრეწველობის და ვაჭრობის და მეორე—სოფლის მეურნეობის წინაშე. მაშინ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობა მტკიცედ ორ ფეხზე იქნება დაყენებული. ეს ჩვენი უდიდესი საეკონომიო-საფინანსო მიზანი ჩვენი ძალებით უნდა განხორციელდეს, რომ ჩვენმა ვაჭრობა-მრეწველობამ გაკაფული გზით იაროს და გაადვილოს ჩვენი ხალხის ეკონომიური და კულტურული სვლა-განვითარება. იმ იდეალს ემსახურება სახალხო ბანკი.

მეგობარი.

---

*) Труды 1-го Закавк. Эконом. Совещ. 1—6 Марта 1923 წ. ნაწ. I, გვ. 28.

**) Материалы по отчету В. С. Н. Х. за 1922 г. Статистико-Экономический сборник. გამოცა 1923 წ.

ლური ორგანიზაციები შორის დგანან მასისაგან. ამიტომ, როცა მენშევიკურ პარტიის პროლეტარული ელემენტები სტოვებენ ძველ გზას და ინსტიქტიურად ახლისკენ მიისწრაფვიან, მენშევიკური ცეკა მათ კალთაზე ეპოტინება და ცდილობს როგორმე უკან აბრუნებინოს პირი.

მაგრამ ამ რღვევას, რომელიც დაიწყო რუსეთის ყველა ოპორტიუნისტულ სოციალისტურ პარტიებში და საქართველოს სოც.-დემოკრატიაშიც, თავის ღრმა მიზეზები აქვს და აქ ვერას გააწყობს ცეკას მუქარა და წყევა-კრულვა.

ერთი ნაკლი, როგორც მოსალოდნელი იყო, თან ახლავს მენშევიკურ პარტიის დაშლას. პარტიიდან გამოსვლის შემდეგ ზოგიერთ მის წევრებს ერთგვარი გაუბედაობა და გზააბნეულობა დასჩემდა. ეს გამოიხატება მათ პოლიტიკურ თვითმკვლელობაში. ისინი ანებებენ თავს არა მხოლოდ მენშევიკურ პარტიას, არამედ ხელს იღებენ, მათი სიტყვით, ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობაზე. ასე მოიქცენ არა მხოლოდ ინტელიგენტი ჟურნალისტები—თევზაია და გელეიშვილი, ასე იქცევა მაჭარაძე და სიხარულიძე—ეს ძველი მუშა-რევოლიუციონერები და ხელმძღვანელები რკინის გზის პროლეტარიატის. ამგვარი განცხადება ან გულუბრყვილობითაა გამოწვეული, ან უადგილო მორცხვობით, უკიდურეს შემთხვევაში კი ეს თვალთმაქცობაა. ვინაიდან ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში ყოველ ადამიანს თავის ხელის მიხედვით წარმოებაში შესაფერი თვალთახედვის ისარი აქვს და ის ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობის ნიადაგზე დგას. კერძოდ პროლეტარიატი, როგორც მწარმოებელი კლასი, როგორც ორგანიზატორი და აქტიური მოღვაწე საზოგადოებრივ მეურნეობაში, ასეთივე თვისებით არის აღჭურვილი იდეოლოგიაშიც. მას არ შეუძლია პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე დგომა. საკუთარი კლასიური ბუნება მას კავშირისა და ორგანიზაციისაკენ მოუხმობს. ამხანაგურ თანამშრომლობის პირობებში აღზრდილი კლასი ორგანიზაციის საუკეთესო ელემენტს წარმოადგენს. ამით განსხვავდება ის ყველა ბურჟუაზიულ წრეებისაგან და ეს თვისება არის პროლეტარიატის ხელში ის უებარი იარაღი, რომელიც მის გამარჯვებას უზრუნველყოფს. ამიტომ, პარტიიდან გასვლა და პოლიტიკურ მუშაობაზე ხელს აღება ეპატიება კიდევ მუქთა-ხორა ჯგუფებს და მათ პარტიების წარმომადგენელთ და არა მუშა პროლეტარს, თუ ის საკუთარ კლასის სულით არის გაჟღენთილი.

პროლეტარიატი მომავლის კლასია და არა წარსულის. მისთვის უცხოა პესიმიზმი და სულდაცემულობა. თუ ის ვერ ჩაიდენს ფიზიკურ თვითმკვლელობას, თუ ის რჩება თავის კლასის რიგებში და დაკავშირებულია მასთან შრომის ხასიათით, ის ვერ ჩაიდენს პოლიტიკურ თვითმკვლელობასაც. რაც უნდა თავი იკატუნოს მან, რაც უნდა ეცადოს დაარწმუნოს საკუთარი თავი პოლიტიკურ ნიჰილისტობაში, მისი თანაგრძობა ამ ორი ქვეყნის, კაპიტალისა და შრომის ჭიდილში, მაინც გარკვეულ მხარისკენ იქნება.

დღეს რუსეთში რევოლიუციის ცოცხალ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენს, რუსეთის პროლეტარიატი ამ პარტიის გარშემო იყრის თავს და ის თავისკენ იზიდავს ღარიბ გლეხობასაც. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების ასეთი განმტკიცება. ამიტომ, როცა ამხანაგები სტოვებენ ძველ გზას და შეგნებულად დგებიან პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, ამით ისინი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასა და საქმიანობას უახლოვდებიან.

მართალია, გარემოებათა ვითარებამ თვალუწვდენელი უფსკრული გათხარა სოც.-დემოკრატიის ორ ფრთას შორის, მართალია კლასიურ ბრძოლის პროცესში პროლეტარიატის ეს ორი ბანაკი იქამდიც კი მივიდა, რომ მათ შორის სისხლიც დაიღვარა, მაგრამ აქ გამბედაობაა საჭირო, შეცდომის გულწრფელად შეგნება, რომ გადაილახოს ყველა ეს შავი მოგონებები ჩვენი ბრძოლის ისტორიიდან და პროლეტარიატის გზა-აბნეულ ნაწილმა თავისი ადგილი მონახოს. კარგი რევოლიუციონერობაა ურყევი რწმენა და მისთვის დაუნდობელი ბრძოლა, მაგრამ უფრო მეტი რევოლიუციონერობაა საკუთარ შეცდომის შეგნება, მისი უარყოფა და ახალი გზით სვლა. ამას ნუ დაივიწყებენ ამხანაგები, რომელთაც პოლიტიკური თვითმკვლელობაზე განუწირავთ თავი და ეს ახსოვდეს მათ, ვისაც მენშევიკურ ცეკას რენეგატობის და მოღალატის ცილისწამება აფიქრებს.

აკ. ქუთნია.

ყოფილ მენშევიკის განცხადება

ამხ. რედაქტორო, დაბეჯითებით გთხოვთ თქვენის გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი სტრიქონები:

საქართველოს შორეულ და მახლობელ კუთხეებიდან, ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში პრესაში იბეჭდება მთელი წყება განცხადებებისა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ მრავალმა ასეულმა და ათასეულმა მუშამ და გლეხობამ დასტოვა და ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას.

და მეც არ შემიძლიან არ ამოვიღო ხმა და არ გამოვსთქვა ჩემი უაღრესი სიხარული და აღტაცება ამ მოვლენის გამო.

იმ გრძელ სიებში მე არა იშვიათად ამომიკითხავს ჩემი ძველი მებრძოლ ამხანაგების სახელები, რომელთაც ზურგი შეაქციეს მენშევიკურ, წვრილ ბურჟუაზიულ, აწ გაკოტრებულ პარტიას, რომლის სახელით ევროპის ყოველ ჯვარედინზე, კონტრ-რევოლიუციონურ ყრილობებზე და კრებებზე, როგორც მატრაკვეცა, გამოდის ხოლმე ბატონი აბრამოვიჩი.

არ შემიძლიან გულწრფელად არ მივესალმო მათ და მათ ხმას ჩემი მცირე ხმაც არ შეუერთო.

ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, მას აქეთ რაც ქ. თბილისს დავშორდი, საბჭოთა რუსეთში მეჭირა საპასუხისმგებლო ადგილები და ამ ხნის განმავლობაში თითქმის ერთი წელიწადი ვცხოვრობდი ბუხარაში, სადაც რ. ს. ფ. ს. რ. საკონსულოში ვასრულებდი მდივნის თანამდებობას.

ჩემმა დაკვირვებამ, თვით საქმემ ნათლად დამარწმუნა, რომ კომუნისტების პროგრამა და მე-3 ინტერნაციონალის პოლიტიკა არის ერთადერთი მისალები მთელი ქვეყნის პროლეტარიატის და გლეხებისათვის.

გამოცდილება და დაკვირვება, რომელიც მე გამოვიტანე ბუხარაში მუშების დროს, და ის პოლიტიკური გეზი, რომელსაც აწარმოებდნენ კომუნ. პარტია და წითელი არმია, მაიძულებს გულ-ახდილად, თამამად და საქვეყნოდ განვაცხადო, რომ აღმოსავლეთის ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი, მათი ქომაგი და მფარველი არის მხოლოდ და მარტო კომუნისტური პარტია.

იქ, ბუხარას მიყრუებულ სოფლებში, სადაც წინად, წითელ არმიელთა მისვლამდე, სიტყვას „ურუს“-ს სოფლის გლეხკაცობა ხმარობდა მხოლოდ იმისთვის, რომ ამით დაეშინებინა ბავშვები და დედაკაცები, დღეს ამ სიტყვას ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ და ამ სიტყვის გაგონებაზე აენთებათ, გაუბრწყინდებათ თვალები და ენით გამოუთქმელ სიხარულს და აღტაცებას მიეცემიან ხოლმე.

მთელი ერთი წლის განმავლობაში ვატარებდი რა ცხოვრებაში რ. ს. ფ. ს. რ. პროფესიონალურ კავშირების და სახალხო შრომის კომისარიატის პოლიტიკას, და ვატარებ რა ამას საქართველოს მენშევიკურ ყოფილ შრომის კომისარიატის—ნოე ხომერიკის და გიორგი ერაძის მეთაურობით,—და პროფ-კავშირების—ალფესი ხელაძის, ვას. ჩხენკელის, ბადრიძის მეთაურობით—წარმოებულ პოლიტიკას, უფრო მეტად ვრწმუნდები პირველთა სიმართლე-სისწორეში და მეორეთა უგვანობაში, რომელთაც შესისხლხორცებული ჰქონდათ უცნაური პოლიტიკანობა.

სიხარულით და სიამაყით ვადასტურებ საბჭოთა აღმშენებლობაში ჩემს ახლობელ მონაწილეობას, ამ ორი წლის განმავლობაში, რ. კომ. პარტ. წევრებთან—კომუნიზმის ჭეშმარიტ დამცველებთან, და წითელ არმიასთან ერთად, რომელიც არის თავისუფლების იდეის მატარებელი მრავალ მილიონ პროლეტარის და გლეხებისა.

ჩავსთვლიდი ჩემს თავს ძალიან ბედნიერად, რომ მრავალ წლების (1906 წლიდან) მენშევიკურ პარტიაში ყოფნის შემდეგ, რომელ პარტიიდანაც მე ოფიციალურად გამოველ 1918 წელს, ვყოფილიყავ მიღებული პროლეტარულ-გლეხურ პარტიის რიგებში! კომუნისტურ პარტიაში! კომუნიზმის მებაირახტრეთა ლენინის და ტროცკის პარტიაში!

დასასრულ მე არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ჩემი სიხარული და არ მივესალმო იმ ასეულ და ათასეულ ქართველ პროლეტარს და გლეხს, რომელთაც ზურგი შეაქციეს ჟორდანია—ი. წერეთელ—კ. ჩხეიძის პარტიას და მათ მაჩანჩალებს, რომელთაც თავიანთი „ბრწყინვალე პოლიტიკური მოღვაწეობა“ იმითი დააგვირგვინეს, რომ სტამბოლის ქუჩებზე დახსნეს ტრახტირები და სამიკიტნოები. (ცნობილი ფაჩულია და კედია).

ამიტომ არ შემიძლიან გავჩუმდე და ჩემი პაწია ხმაც არ შეუერთო მათ (ყოფილ მენშევიკების) პროტესტს და მათთან ერთად მძლავრად არ შემოვძახო:

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!
გაუმარჯოს ამხ. ლენინს და ტროცკის!

ნ. გიკი.

საბჭოთა კავშირში

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო

მოსკოვი. 19 ივლისი. გუშინ ამხ. კამენევის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს პირველი სხდომა. გადაწყვეტილია განსაკუთრებული მიმართვით ეცნობოს ყველა საკავშირო ცაკებს და სახალხო კომისართა საბჭოებს ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის დაწყების შესახებ. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნათ დაინიშნა ამხ. ფოტიევა.

ს. ს. რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოში შედიან ამხ. ამხ. კამენევი, რიკოვი, ციურუპა, სოკოლნიკოვი, ძერჟინსკი, კრჟიჟანოვსკი და ტროცკი: თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ლენინი. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან სახალხო კომისარიატის უფლებებით დაარსებულია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. პოპოვი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დაევალა ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს დაარსება; განსაკუთრებულმა კომისიამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს დებულების პროექტი.

ს. ს. რ. კავშირის საკონცესიო მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. პიატაკოვი.

რუსეთი

ბაიკალის მხარის საბჭოთა ყრილობა.

ჩიტა. 17 ივლისი. გაიხსნა ბაიკალის მხარის საბჭოების ყრილობა, მისალმებანი გაეგზავნა ამხ. ლენინს, რ. კ. პ. ც. კ. და ს. ს. რ. კავშირის ცაკს.

სამეცნიერო-სასარეწაო ექსპედიცია.

არხანგელსკი. 17 ივლისი. ახალ მიწაზე იგზავნება სამეცნიერო-სასარეწაო ექსპედიცია პროფესორ სამოილოვის მეთაურობით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება.

ერევანი. 18 ივლისი დაიწყო ჩაწერა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში. შესდგა სომხეთის კომპარტიის ც. კ. სხდომა საგომომცემლო უჯრედთან ერთად, რომლის წევრები მთელი შემადგენლობით ჩაეწერენ საზოგადოებაში. დადგენილია ივლისის ჯამაგირის 5 პროც. გადარიცხონ საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ. 21 და 22 ივლისს მოეწყობა ფულის შეგროვება.

დივიზიის ხუთი წლის თავი.

ალექსანდროპოლი. 18 ივლისი. ზეიმით ჩატარდა მე-20-ე დივიზიის არსებობის 5 წლის თავი. საზეიმო დღესასწაულს დაესწრენ ამხ. ლუკაშინი, დივიზიის ყოფილი კომანდირი, და საზოგადო მომუშავეთა მთელი რიგი. მიღებულია მისალოცი დეპეშები უმაღლესი ორგანოებიდან.

საბჭოთა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ბათომ-ახალციხის შარა-გზის შეკეთება

სახელმწიფო საამშენებლო მთავარმა სამმართველომ ივნისის განმავლობაში დაასრულა ბათომ-ახალციხის შარა-გზის რემონტი.

რადგანაც გზა დიდ რემონტს საჭიროებდა, აღნიშნულ სამმართველოს დიდი მუშაობის გაწევა მოუნდა მის შესაკეთებლად.

ხულომდე და ღორჯომამდე შავას გზა ისე დაზიანებია, რომ საჭირო შეიქნა 65 კუბიკური საჟენი ჩამოშკავებული მიწის და ქვის აღება.

მე-12, 14, 15, 16, 21, 25, 28, 30, 31, 33, 54, 59 და 62 ვერსტებზე ამოვსებული იქმნა 10 ნახ. კუბიკური საჟენი ორმო.

ხულოსთან დიდ ხიდს დასჭირდა კაპიტალური რემონტი.

გზის დანარჩენი ადგილები შეკეთებულია ცემენტის საშუალებით.

ბათომ-ქობულეთის გზა

აღნიშნულმა სამმართველომ დაიწყო ბათომ-ქობულეთის შარა-გზის რემონტი, რომელიც ამ ახლო მომავალში დასრულდება.

აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ივნისის განმავლობაში ინსპექციის მიერ წინასწარი რევიზიის სახით განხილული იქნა სხვა და სხვა დაწესებულებათა მიერ წარდგენილი ანგარიშები, ხარჯთ-აღრიცხვები და ხელშეკრულებანი—41. შემდეგი რევიზიის სახით ინსპექციის მიერ განხილული და გამტკიცებული იქნა სხვა და სხვა საავანსო ანგარიშები—535 223.800 მან. რაოდენობის.

აღნიშნული თვის განმავლობაში ინსპექციამ მოახდინა მოულოდნელი რევიზიები და გამოარკვია შემდეგი:

1. ქალაქის მილიციის 1 რაიონის ფაქტიურმა რევიზიამ აღმოაჩინა საქმის მწარმოებელ დუდუჩავას ბოროტ-მოქმედება, რომელიც დაპატიმრებულ იქნა და საქმე გადაეცა აჭარისტანის რევტრიბუნალს.

2. დაიწყო ფაქტიური რევიზია ბათომის საბაჟოში, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

3. ივნისის განმავლობაში ინსპექციის სამმართველოში შესასრულებლად შემოვიდა 437 მიმოწერა, სამმართველოდან გავიდა—154.

ინსპექციაში შემოვიდა 9 საჩივარი: საფონდო-განმანაწილებელ კომისიაზე, უკანონო დაპატიმრებაზე, მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მიუცემლობაზე და სხ.

ივნისის თვიდან დარჩა დაუსრულებელი 13 საჩივარი. გაირჩა—18 საჩივარი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

ბათომის და ოლქის სახალხო სასამართლოებში ივნისის თვის განმავლობაში, აღიძრა 172 სამოქალაქო და 114 სისხლის სამართლის საქმე. დასრულებულია 296 სამოქალაქო და 122 სისხლის სამართლის საქმე.

სახალხო მოსამართლეთა საბჭოში შემოვიდა: 168 სამოქალაქო და 15 სისხლის სამართლის საქმე; გადაწყვეტილია 90 სამოქალაქო და 9 სისხლის სამართლის საქმე.

პროკურატურის განყოფილების მოწყობა ჯერ არ დამთავრებულა. სასამართლო საგამომძიებლო განყოფილებამ შეიმუშავა მოკლე ინსტრუქცია მილიციისათვის დაკითხვის დროს სახელმძღვანელოდ. ინსტრუქციაში გარკვეულია აგრეთვე დაკითხვის და ძიების ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი.

საერთო მეთვალყურეობის განყოფილება აწესრიგებს რესპუბლიკის უწყებათა ურთიერთშორის დამოკიდებულების საკითხს.

საიურისკონსულტო განყოფილებამ დასკვნა მისცა 16 საკითხის გამო, ხოლო განმარტება და მითითება 46 შესახებ.

კომისარიატის შტატების შემოკლების გამო საერთო მუშაობა ინტენსიურად სწარმოებს.

მეფუტკრეობა

მიწად-მოქმედების კომისარიატის ინიციატივით მოეწყო რამდენიმე ლექცია ფუტკრის მოშენების პრაქტიკულ და თეორიულ საფუძვლების გასაცნობათ მოსახლეობისათვის.

ქედის მაზრის 14 სოფელში მოეწყო საჩვენებელი საფუტკრე.

გაკეთებულია 52 ყუთი—სკა „დადანა ბლატას“ სისტემის.

მესაქონლეობა

სარძევე ფერმის მოსაწყობად მიწად-მოქმედების კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო 24 ძროხა და 6 თხა. კომისარიატმა აგრეთვე შეიძინა სარძევე მაღაზია, სადაც იგი ყიდის საკუთარი ფერმის ნაწარმოებს.

საქონლის ჭირთან საბრძოლველად ქობულეთში და ზემო-აჭარაში გაიგზავნა ვეტერინარი ექიმი და ფერშლები. თბილისიდან კომისარიატმა მიიღო ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა 1500 დოზისათვის.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა დღეს 20 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი წამოყენებული იქნეს რაიკომებისა და უჯრედების მიერ ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

პარტიული მუშაობა ბორჩალოს მაზრაში ივნისში.

ორგანიზაციული მუშაობა. ივნისში პარტიული მუშაობა ხსენებულ მაზრაში სწარმოებდა მინდვრებში გახურებული მუშაობისა და დაბალი ადგილებიდან მოსახლეობის მთებში საზაფხულო გადასახლების პირობებში. ეს ფაქტი უმთავრესად ეხება 5 კომუჯრედს, რომელთა წევრების რიცხვი ოცდათხუთმეტს უდრის. იმ მიზნით, რომ პარტკომმა იცოდეს მათი გადასახლების დრო, წინადადება მიეცა ყველა გადასახლებულებს გატარდენ რეგისტრაციაში. ჯერ რეგისტრაციაში გატარებულია 5 წევრი, რომლებიც გაემგზავრენ ბაშკიჩეთის რაიონში იმ მიზნით, რომ გადასახლებულებს შორის მუდმივ ბინაზე დაბრუნებამდის სწარმოებდეს გეგმაშეწონილი პარტ-მუშაობა. გამოყოფილია სპეციალური ინსტრუქტორი ბაშკიჩეთის რაიონზე, რომელსაც დაევალა როგორც კი გამოირკვევა გადმოსახლებულების ცხოვრების ადგილი, შექმნას დროებითი უჯრედები და აირჩიოს მდივნები. ადგილებზე დარჩენილ წევრებს შორისაც საანგარიშო თვეში მუშაობა შესუსტდა იმის გამო, რომ წევრების უმრავლესობა მინდვრებში არის გასული სამუშაოდ. უჯრედების სხდომები შემცირდა. გამონაკლისს შეადგენენ ლიუქსემბურგის და შულავერის უჯრედები, რომლებშიაც კრებები ხდება რეგულიარულად ყოველ კვირაში. ღია კრებებზე ესწრებიან უპარტიონი ას ან ორას კაცამდე.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. პარტწევრებში პოლიტ-უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მოწყობილია პოლიტ-წრეები: სოფელ ბაშკიჩეთში, ქ. შულავერში და კოლონია ლიუქსემბურგში. უკანასკნელ პოლიტ-წრეში ითვლება 72 მსმენელი. არის ბევრი მსურველები ჩაეწერონ პოლიტ-წრეში. ქ. შულავერში პოლიტ-წრეში, რომელიც გაიხსნა მხოლოდ 20 ივნისს, ჩაეწერა 27 მსმენელი. სოფ. ბაშკიჩეთში ითვლება 18 მსმენელი. კოლონია ლიუქსემბურგში გარდა პოლიტ-წრის მოწყობილია სახებ. ლექტორთა ჯგუფი, რომლის მსმენელები ემზადებიან ლექტორებათ მომავალში პოლიტ-უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, როგორც პარტ-ამხანაგებში და კომკავშირის წევრებში, აგრეთვე უპარტიოებშიაც. გეგმაშეწონილი მუშაობის [illegible], თანახმად ცეკას ცირკულიარისა (საერთო [illegible] კურსის ცირკულიარების რიცხვი ივნისში უდრის 21-ს), ცამეტი უჯრედიდან გამოყოფილია ორი—შულავერისა და კოჩულინისა, რომლებზედაც მიმაგრებულია მომზადებული ამხანაგები. ტარდება ერთიანი პარტ-დღე შაბათი. თანახმად ცეკას ცირკულიარისა თემკომები გაუქმებულ იქმნა, ხოლო რაიკომები ჯერ შედგენილი არ არის. მუშაობას ხელმძღვანელობენ რაიკომის მდივნები, რომლებსაც დავალებული აქვთ წამოაყენონ ორგანიზაციიდან რაიკომში გასაყვანად შესაფერი კანდიდატები.

ჩატარდა სამი კამპანია: 1) განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების (ჩონის) მნიშვნელობის შესახებ, 2) მეთორმეტე ყრილობის შედეგების შესახებ და 3) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. უკანასკნელი კამპანია ჩატარდა დადებითად და მისცა საშუალება გლეხობას გაეცნობოდენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას, რის შემდეგ გლეხობა უკვე სიამოვნებით იძლევა სწორ ცნობებს თავის ქონებრივ მდგომარეობის შესახებ.

შ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(19 ივლისი).

ჩერვონცები — —	16,600
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	16,100
ჩეკები —	14,300
დოლარი ეფექტ. —	3,400
ჩეკები —	3,100
ოსმალ. ქაღალ. ლირა —	2,420
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	180
საბჭ. ფულ. ნიშ. —	18,75

„არკოსში“.

მოქმედების გაფართოვება.

არკოსის გამგეობა შეუდგა რუსეთში მუშაობის მოწყობის საქმეს. ექსპორტის და იმპორტის შესაძლებლობათა გამოსარკვევათ და აგრეთვე მუშაობის მოსაგვარებლათ რუსეთში ჩამოდიან არკოსის ზოგიერთ განყოფილებათა გამგეები.

ბანკის მოწყობა.

არკოსი შეუდგა საკუთარ ბანკის მოწყობას სააქციონერო საფუძვლებზე. გარდა ამისა არკოსმა გადასწყვიტა შევიდეს აქციონერათ პეტროგრადის საგარეო ვაჭრობის ბანკში.

ს. ს. ს. რ. სახალხო მამულები

წინანდლის სახალხო მამული.

წინანდლის სახალხო მამულში, ადგილობრივ ყურძნის ჯიშებთან საფერავსა და რქა-წითელთან ერთად გაშენებულია მრავალი ევროპიული ჯიშიც; კაბერნე, რისლინგი, ალიგოტე, მალბეკი, სემილიონი, სოვინიონი, ზანტე და სხვა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მრავალი ჯიში კახეთში ადგილობრივ პირობებს ვერ შეეგუა, ნაკლებ ნაყოფიერი გამოდგა და ამის გამო ნაწილობრივ დაიღუპა და ნაწილობრივ ხელოვნურად იქნა გადაშენებული. უცხოელ ჯიშთაგან გამძლე და ნაყოფიერი გამოდგა კაბერნე, რისლინგი და ალიგოტე, რომელიც საუკეთესო ღვინოს იძლევიან, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ღვინის მაღალი ღირსებით წითელი კაბერნე.

წინანდალში დამზადებული ევროპიულ ტიპის ღვინო თანდათან დიდ გასავალს ჰპოულობს. წარსულში ბლომად გაქონდათ რუსეთში, სადაც დიდი წარმატებით საღდებოდა; ნაწილობრივ იგზავნებოდა საზღვარგარეთაც. შარშან, 1922 წელს ღვინის დიდი პარტია გაიგზავნა მოსკოვში. თუ როგორია მამულის მოგებიანობა ან ზარალი თუნდ დაახლოვებით, ამის გამოსარკვევი მასალები სამწუხაროდ, არ მოიპოვება. 1920 წლამდე ანგარიში ორმაგი სისტემით არ უწარმოებიათ. მიუხედავათ ამისა, შეიძლება, დანამდვილებით ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში მამული იძლევა დეფიციტს, რაკი ყოველი დესიატინის მოსავალი 150 ფუთს ყურძენს არ აღემატება.

ამის მთავარი მიზეზი—დამუშავების მოუწყობლობა და ვენახებში ფილოქსერის ბუდეების გაჩენაა. უკანასკნელ ექვს-შვიდ წელს კახეთში საერთოდ ფილოქსერის გავრცელებამ მიიღო სტიქიური ხასიათი და ყოველ წლიურად სპობს ასეულ დესიატინა ვენახებს.

აუცილებლად საჭიროა ძველი ვაზების თანდათანობით შეცვლა დასნეულებულ ადგილებში ახალი ამერიკული ნამყენით. ამისათვის აუცილებელია მყნობის სამეურნეო წესზე დასაყენებლად თელიანის სანერგედან სანამყნე ლერწების გამოწერა, მიწის გადაბრუნება სანამყნე ვაზების რაოდენობის მიხედვით და ყოველ წლიურად 10 დესიატინის ხელახალი გაშენება, რათა ათი წლის განმავლობაში მამული სრულიად განახლებული იქნეს.

მამულის კარმიდამო და მოწყობილება.

გლეხების მამულისადმი დამოკიდებულება მეტად კარგია: მამულს ისინი სთვლიან ისეთ მეურნეობათ, რომლიდანაც ბევრი სასარგებლო საქმის შესწავლა შეიძლება და რომლის შემოსავალი ხალხს ხმარდება. მამულში არის სამ სართულიანი მარანი 28 განყოფილებით, კანტორის და ლაბორატორიის მოსათავსებელ ოთახებით. მარანს აქვს აგრეთვე ფანჩატური, სადაც რეცხენ ბოჭკებს, და ორთქლის ქვაბების მოსათავსებელი ბინა. ღვინის სახდელი შენობა ორსართულიანია—ქვედა შენობაში მოთავსებულია სამაჰრე ჩანები, ორი საწნეხი განყოფილება, ორი საზონდარო. სახელოსნო, მასალების დ პროდუქტების საწყობები სამი თავლა ცხენებისა და პირუტყვისათვის, ბეღელი მარცვლეულობისათვის, სხვა და სხვა იარაღების მოსათავსებელი სამი ღერეფანი, ელექტრო-სადგურის ბინა, ერთი სახელოსნო, მასალების საწყობი, ოთხი სახელოსნო (სამჭედლო, საზეინკლო და სხვა), აბანო სარეცხი და გასაშრობი განყოფილებით, სასახლე კანტორის, ბიბლიოთეკის მოსათავსებელ ან სასტუმრო ოთახებით, მსახურთა საცხოვრებელ 4 ბინით, 2 საყინულე, 4 მაციფარი (ХОЛОДИЛЬНИК) წყალსადენი 4 აუზით, 5 დიდი ორსართულიანი სახლი მუშებისა და მოსამსახურეთა ბინებისათვის, თოფის წამლის სარდაფი, ორანჟერეა და სხვა.

მამულს აქვს შემდეგი სახელოსნოები: საზეინკლო, სამჭედლო, სასარაჯო და სათელე სახელოსნო; ყველა სახელოსნოში მუშაობს 7 ხელოსანი და ერთიც შეგირდი, რომელთაც დადებული აქვთ მიწა-ტყის კავშირის საშვალებით მიწ. სახ. კომ-თან კოლლექტიური ხელშეკრულება.

ამას გარდა, მამულში არის ელექტრო-სადგური, რომელიც დღით სინათლეს აძლევს ღვინის მარანს, ხოლო ღამით ყველა შენობებს და კარმიდამოს. სინათლესთან პარალელურად ელექტრო-მამოძრავებელს მოჰყავს წისქვილი, რომელიც ახლობელ სოფლების გლეხების პურეულს ჰფქვავს, რისთვისაც ჰღებულობს მინდს. ელექტრო სადგური ამოძრავებს აგრეთვე სახერხ მანქანას, რომელიც ხერხავს შეშას (ხოლო მომავლისათვის განზრახულია მორების ფიცრებათ დახერხვაც). წისქვილს საკმაო შემოსავალი აქვს, რაც სინათლის მისაღებად გაწეულ ხარჯების დაფარვას შველის.

მამულის კარმიდამოს ფარგლებში ინგლისურ სტილზე გაშენებულია 8 დესეტინის სივრცეზე მშვენიერი პარკი, სადაც ჰხარობს წიწვიანი და ფოთლოვანი ხეების სხვა და სხვა ჯიშები. აქ შეხვდებით ალპიურ, ტროპიკულ, ამერიკანულ და სხვა ქვეყნების მცენარეთა იშვიათ ეკზემპლიარებს. მამულის შესავალთან სანიმუშოთ გაშენებულია ხეხილის ბაღი (ვაშლი, მსხალი და იუსკონი ხილები), იქვე არის წიწვოვანი, დეკორატიული მცენარეების სანერგე ხეები ახლო მახლო სოფლებში გასავრცელებლად. ოცი წლის წინად კახეთის ყველა ყოფილ საუფლისწულო მამულში მოეწყო სეტყვის მფანტველი ზარბაზნების სადგურები, რომელნიც სეტყვის გამოჩენისთანავე ყუმბარების სროლით ჰფანტავდენ სეტყვის ღრუბლებს და ამ საშუალებით მამულს დიდ საფრთხისაგან იცავდენ. 1918 წლიდან სეტყვასთან ბრძოლა რაკეტებით შეიცვალა და უნდა აღინიშნოს, უკეთესს ეფექტს იძლეოდა, მაგრამ ეს მეორე წელიწადია ვერ მოხერხდა საზღვარგარეთიდან რაკეტების მიღება, რასაც შედეგად მოჰყვა შარშანდელი მოსავლის ორი მესამედის განადგურება.

წინანდლის ცენტრალური, მშვენივრად მოწყობილი სარდაფი, რომელიც 275.000 ვედრო ღვინოს იტევს, ღვინის მოსავლის შემცირების გამო, ამ ჟამად თითქმის ცარიელია. დღეს სარდაფში მოთავსებულია 129.000 ვედრო ღვინო, რომელიც გადმოგზავნილია მუკუზანისა და ნაფარეულის მამულებიდან. ვარაუდით ახალი ღვინო წრეულს 50.000 ვედროზე მეტი არ მოვა.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტას“ ცნობები)

რუსეთი და რუმინეთი

რუსეთის საპროტესტო ნოტა

მოსკოვი. 18 ივლისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გაუგზავნა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში რუმინეთის საზღვარზე წითელი ჯარის სამუშავო რაზმებს რუმინეთის საგუშაგოებიდან უტეხენ სროლას. სროლის ხშირი შემთხვევები მოწმობენ რუსეთის ტერიტორიის ხელუხლებლობის დარღვევის სისტემატიურ ცდას. ნოტა პროტესტს აცხადებს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების და უკრაინის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს რუმინეთის მთავრობას სასტიკათ გამოარკვიოს საბჭოთა საგუშაგოების მიმართ სროლის შემთხვევები და შემდეგში არ დაუშვას მათი განმეორება.

რუმინეთის პასუხი

თავის საპასუხო ნოტაში რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ რუმინეთის მთავრობამ გამოარკვია აღნიშნული შემთხვევები. ეს შემთხვევები მოხდა პასუხათ იმ სროლისა, რომელიც მიმართული იყო რუმინეთის პატრულების წინააღმდეგ. ამას გარდა საბჭოთა ჯარების ნაწილი ხელს უწყობდა ბრბოებს უკრაინიდან ბესარაბიაზე თავდასხმის დროს. ნოტა წინადადებას იძლევა გაიგზავნოს სამხედრო დელეგატი, რომელიც რუმინეთის სამხედრო დელეგატთან ერთად გამოარკვევს ზემოთ აღნიშნულ საკითხს.

მოლაპარაკება კონფლიქტის მოსაგვარებლათ.

საგარეო საქმეთა კომისარმა უპასუხა, რომ ს. ს. რ. კ. მთავრობა, კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, იღებს რუმინეთის მთავრობის წინადადებას და თხოვს აცნობოს სამხედრო აგენტების შეხვედრის დრო და ადგილი.

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისი ამზადებს პასუხს

ლონდონი. 19 ივლ. „დეილი-მეილის“ ცნობით, ინგლისის კაბინეტი ხუთშაბათისათვის დაამზადებს მოკავშირეთაგან გერმანიისათვის გადასაცემ პასუხს ტექსტს ისე, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა და ამერიკამ ეს პასუხი მიიღონ მომავალ სამშაბათამდე.

ინგლისის დიპლომატთა აზრი

ლონდონი. 19 ივლ. „დეილი მეილი“ იტყობინება, ინგლისის დიპლომატიურ წრეების აზრით, ნოტაში ყურადღება ექნება მიქცეული იმ მავნებლობაზე, რომელსაც იწვევს გერმანიის პასიური წინააღმდეგობა. იმავე წრეების აზრით, საფრანგეთიც მოაწერს ხელს ნოტაზე გერმანიის მიმართ, თუმცა ზოგიერთი დამატებების შეტანით.

ამერიკის შესწორება

ლონდონი. 19 ივლ. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, ამერიკის ოფიციალურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ ამერიკა არ მიემხრობა ინგლისის გეგმას საკონტრიბუციო და რურის საკითხების გადაწყვეტაში, თუ ეს გეგმა ეხება მოკავშირეთა ვალებს ამერიკის წინაშე.

ინგლისის წინადადება

ბერლინი. 19 ივლ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იტყობინება, ინგლისი წინადადებას მისცემს საფრანგეთსა და ბელგიას შეუმსუბუქონ რურის ოკუპაცია თუ კი ბოლო მოეღება პასიურს წინააღმდეგობას. აგრეთვე რურიდან გამოიყვანონ ჯარები, რაწამს გადახდილი იქნება პირველი ორი წყება საკონტრიბუციო თანხისა, რომელსაც განსაზღვრავს ექსპერტების კომისია.

რურის ოლქის ოკუპაცია

კრუპპის ქარხნები.

ბერლინი. 17 ივლისი. ფრანგებმა კრუპპის ქარხნებში ქვანახშირის კონფისკაცია მოახდინეს, ქარხნების მუშაობა შეჩერებულია.

მოკავშირეთა რეპრესიები.

ბერლინი. 17 ივლისი. აახენში ბელგიის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სამ გერმანელს საბოტაჟისათვის, ერთს კი სამუდამო ციხე მიუსაჯა.

ბოხუმში.

ბერლინი. 17 ივლისი. ბოხუმის მაღაროებში დიდი აფეთქება მოხდა. გამოცხადებულია საალყო წესები.

ლოზანის კონფერენცია

მოკავშირეთა დათმობა.

პარიზი. 17 ივლისი. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეები მთელ რიგ საკითხებში დათმობაზე წავიდნენ.

საზღვაო ძალთა ევაკუაციის საკითხში ოსმალები წავიდნენ კომპრომისზე, რომლის ძალითაც მოკავშირეებს უფლება ენიჭებათ დარდანელში დასტოვონ თითო კრეისერი და ორ-ორი განმანადგურებელი გემი, ვიდრე მოხდებოდეს სრუტეების შესახებ კონვენციის რატიფიკაცია.

მოკავშირეებმა უარი განაცხადეს რკინის გზების ხელმძღვანელობაზე.

საკითხი ნავთის შესახებ გადაუჭრელი დარჩა. ინგლისის დელეგაცია ამ საკითხის დეკლარაციას წარმოადგენს კონფერენციის პლენუმზე. ისმეტ-ფაშა წარადგენს კონტრ-დეკლარაციას და დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ნავთის საკითხი გადაუჭრელი დარჩეს, ვიდრე ეს საკითხი ხელახლა არ იქნება განხილული.

ლონდონი. 19 ივლისი. ლოზანიდან მიღებულის ცნობებით, კონფერენციის დასასრული ახლოვდება და **საზავო ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ მომავალ სამშაბათს,** მაგრამ განსაკუთრებული აღფრთოვანება აქ მაინც არ ემჩნევა.

ანგორის მთავრობის განცხადება.

ლონდონი. 19 ივლისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ანგორის მთავრობამ განაცხადა: მოკავშირეთათვის კონცესიების მიცემისა და სტამბოლის ევაკუაციის საკითხები ისე გადასწყდა, რომ ოსმალეთის სუვერენობა არ ირღვევაო.

კომისიების უკანასკნელი სხდომა.

რომი. 1„ ივლისი. კონფერენციის კომისიების უკანასკნელმა სხდომამ მოიწონა ოქმი სტამბოლიდან მოკავშირეთა ევაკუაციის შესახებ, რომელიც მოხდება მაშინვე, როდესაც ოსმალეთი დაამტკიცებს საზავო ხელშეკრულებას.

ახლო აღმოსავლეთში

დაბრკოლებანი თავიდან აცილებულია

ლონდონი. 19 ივლისი. ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს ახლახან დასრულებულმა არჩევნებმა გაჰფანტა იმისი ეჭვი, ვითომც მოსალოდნელი ყოფილიყოს, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საქმე შეფერხდებოდა. იმ ელემენტების გავლენა, რომელიც თებერვალსა და მარტში ეწინააღმდეგებოდენ ზავის ჩამოგდებას, ნულამდეა დაყვანილი და ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭო პირველსავე სხდომაზე, რომელიც 2 აგვისტოს მოხდება, უპირველესად საზავო ხელშეკრულებას დაამტკიცებს.

სხვადასხვა ამბები

ინგლისი.

1,189,000 უმუშევარი.

ლონდონი. 10 ივლისი. ოფიციალური ცნობებით, ინგლისში უმუშევართა რიცხვი ერთი კვირის განმავლობაში, 9 ივლისამდე, 1,189000 უდრიდა.

ბულგარეთი

ამხ. კოლაროვი კვლავ დააპატიმრეს.

ვენა. 17 ივლისი. ვარნის სასამართლოს განაჩენით განთავისუფლებული ამხ. კოლაროვი ხელმეორედ დაატუსაღეს იმ დროს, როცა ის ავადმყოფ დედასთან იმყოფებოდა.

შვეიცარია.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

პარიზი. 17 ივლისი. ვოროვსკის მოკვლის შესახებ წინასწარი გამოძიება დამთავრებულია. საქმე ახლო ხანში გაირჩევა ლოზანაში. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელობის მომზადებაში მონაწილეობას იღებდა მეფის დროის წითელი ჯვრის წარმომადგენლობა.

იტალია

ფაშისტების წინააღმდეგ.

რომი. 17 ივლისი. ვოლფის სააგენტოს ატყობინებენ, რომ გენუაში და ფლორენციაში რამდენიმე ფაშისტი მოუკლავთ. მკვლელობას აბრალებენ ალბერტინის, სტურცას და ტურატის, რომლებიც ილაშქრებდნენ ფაშისტების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ფაშისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღებას.

ფაშისტები მუშაობენ.

რომი. 17 ივლისი. ფაშისტებისა და პოპულიას პარტიის (სახალხო კათოლიკური პარტია) შორის საარჩევნო რეფორმის კანონ პროექტის განხილვის დროს მომხდარი განხეთქილების გამო, ფაშისტებმა დამსჯელი რაზმი გააგზავნეს ქ. მონცაში, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული პარტიის უმთავრეს კულტურულსა და პოლიტიკურ ცენტრს.

ფაშისტების რაზმებმა დაარბიეს ამ პარტიის ცენტრალურ ორგანოს სტამბა, საჯაროდ დასწვეს მათი ბროშურები და საკანცელარიო წიგნები.

ფლორენციისა და ნეაპოლის სადგურებზე ფაშისტებმა ხელთ იგდეს ყველა ეგზემპლიარები გაზეთ „ავანტი“-სა და ტურატის ორგანოსი „ჯიუსტიცია“-სი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა ლოძში.

ვარშავა. 17 ივლისი. ლოძში გაფიცვა გრძელდება. შრომის მინისტრ დაროვსკის ჩარევას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. გაიფიცნენ ქირარდოვის საფეიქრო-სამრეწველოს მუშები, ფეიქართა მიტინგზე სცემეს მთავრობის კომისარს. შეიარაღებულ პოლიციელთა რაზმმა გაფიცულები გაჰფანტა. დაატუსაღეს 15 კაცი.

გემების ამშენებელ სახელოსნოების მუშების გაფიცვა.

ბერლინი. 18 ივლისი. ლონდონის გემების ამშენებელ სახელოსნოების მუშების გაფიცვა იზრდება. გაფიცული არიან 60.000-დე კაცი გულთან, მანჩესტერთან და დუბლინთან ერთად.

ქალაქის მცხოვრებთა საყურადღებოთ

გაზეთ „მუშა“ 11 ამ ივლისიდან აცნობებს თავის მკითხველებს, რომ ქალ. თბილისში ხოლერამ უკვე იჩინა თავი, ის „უკვე სახლში შემოგვივარდა“.

ამით ვაუწყებთ ქალაქის მცხოვრებთ, რომ აღნიშნულ გაზეთში მოთავსებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია,—თბილისში ჯერ არ ყოფილა ხოლერით ავადმყოფობის არც ერთი შემთხვევა და ვიმედოვნებთ, რომ არც იქნება ამ ზაფხულში. ამის თავდებია ის შრომა, ენერგია და უნარი, რომელსაც იჩენს ქალაქის აღმასკომი თავისი ჯანმრთელობის განყოფილების და მის დამხმარე სხვა ორგანოების საშუალებით, ამ სენის გაჩენის საწინააღმდეგო წინასწარ ზომების მისაღებათ.

მართალია, უკანასკნელ წლების განმავლობაში ქალაქის სანიტარული მდგომარეობა ბევრ სხვა და სხვა მიზეზების გამო ძლიერ დაეცა, რის შედეგებიც გასულ წლებში თვალსაჩინოთ გამოიხატა, მაგრამ ამ წელში კი ქალაქის აღმასკომმა გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ქალაქის ცუდ სანიტარულ პირობებს და ენერგიული, სასწრაფო და მიზანშეწონილი ზომების მიღებით, ძლიერ გააუმჯობესა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა; გაიწმინდა ქუჩები, ეზოები, მოედნები, უშენი ადგილები, ხრამები, მდინარის ნაპირები, შენობების სასარდაფო სართულები, სადაც წლობით გროვდებოდა ნაგავი და სხვა უწმინდურებანი, დარჩა მხოლოდ დესიმონოვის მოედანი და მტკვრის მარჯვენა ტოტის კალაპოტი, მადათოვის კუნძულის ირგვლივ, რომელთა გაწმენდა თხოულობს ქალაქის მიერ შეუძლებელ ხარჯს ეხლა, მაგრამ ამ ადგილების გაწმენდა არის დასმული რიგში და დღეს თუ ხვალ იქნება ეს საკითხი მოწესრიგებული. რაც შეეხება იმ უსუფთაობას, რომელსაც ალაგ-ალაგ ვნახულობთ დრო გამოშვებით ქალაქში, ეს აიხსნება მოქალაქეთა დაუდევრობით, რომელნიც ვერ ახერხებენ თავის დროზე ამ უწმინდურების გატანას ქალაქიდან, მაგრამ ამ გარემოებაზე არის მიქცეული სასტიკი ყურადღება სანიტარულ ზედამხედველობის მიერ და თავის დროზე იღება სათანადო ზომები. შეკეთდა ბევრი დანგრეული და დაზიანებული შენობები, როგორც საცხოვრებელი, ისე სავაჭრო; მიექცა სათანადო ყურადღება ყოველგვარ ვაჭრობას, განსაკუთრებით სასმელ-საჭმელ და ძველ ტანსაცმლებით როგორც ბაზარზე, დუქნებში და სახელოსნოებში, ისე ქუჩებში, და ეს საქმე გარემოების მიხედვით მოწესრიგებულია, მიექცა სასტიკი ყურადღება სხვა და სხვა გამაგრილებელ წყლების მზადებას სახელოსნოებში და მათი ვაჭრობას—ყველა ეს სახელოსნოები არის აღებული აღრიცხვაზე და გამოცემულია დეკრეტი, რომლის ძალით ყველა ამ გვარი წყლების მზადება სახელოსნოებში და მათით ჩასხმა ჭურჭლებში უნდა სწარმოებდეს უეჭველათ ქიმიკოსის ან ფარმაცევტის პასუხისმგებლობით, განსაკუთრებული შემუშავებული წესით. სწარმოებს ყოველ დღე ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში გამოკვლევა ხოლერის ვიბრიონებზე წყლის, რომელსაც ღებულობთ წყალსადენში, მტკვრის და ვერის სხვა და სხვა ადგილებზე, მიღებულია ზომები, რომ სხვა და სხვა დროს გამოცემული სანიტარული დადგენილებანი იქნას ცხოვრებაში სავსებით გატარებული; ეს დადგენილებანი გამოიცემა ამ დღეებში, ყველა მოქალაქეთა ცნობათ, სახელმძღვანელოთ და ასასრულებლად. დავალებული აქვს ყველა სახლების და სავაჭრო დაწესებულებების პატრონებს შეიძინონ სანიტარული რვეულები, რომლებიდანაც სანიტარული ექიმები აღნუსხავენ ყოველივე იმ სანიტარულ ნაკლს, რომელსაც ესენი აღმოაჩენენ სახლებში და ეზოებში თუ სავაჭრო დაწესებულებებში, და წინადადებას აძლევენ პატრონებს შენიშნული ნაკლი მოსპონ. თუ, ვინიცობაა, აღნიშნული ნაკლი დანიშნულ დროზე არ იქნება თავიდან აცილებული, ექიმები ადგენენ ოქმებს და სჯიან დამნაშავეთ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმებით ან დატუსაღებით. დიდი ყურადღება არის მიქცეული სურსათსანოვაგით ვაჭრობაზე. ყოველივე საეჭვო თვისების საკვები მასალა იგზავნება ლაბორატორიაში გამოსაკვლევათ; აგრეთვე რძით და რძის ნაწარმოებით ვაჭრობაზე. ყოველი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე თავის გავლენას და ხელს უწყობს ყოველივე ავადმყოფობის საზოგადოთ და განსაკუთრებით კი ხოლერის გაჩენას, არის შესწავლილი, გათვალისწინებული და შეძლებისდაგვარათ მიღებულია სათანადო ზომები, მაგრამ ქალაქში დამაკმაყოფილებელ სანიტარული მდგომარეობის დამყარებას აფერხებს ორი გარემოება: ქალაქს არა აქვს საკმარისი, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით, წყალი, ქალაქის წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნილებას; წამხდარი არის ალაგ-ალაგ ქალაქის საკანალიზაციო მილები და ამიტომ ეს მილები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას სავსებით. რასაკვირველია, ორივე ეს გარემოება ძლიერ უწყობენ ხელს ქალაქის უსუფთაობას, მაგრამ აღმასკომის მიერ ამ ორივე გარემოებაზე არის მიქცეული უპირველესი ყურადღება და ის შეძლებისდაგვარათ ამ კითხვებს აწესრიგებს; განაპირა ადგილებზე არის მიქცეული ყურადღება არა ნაკლებ ქალაქის ცენტრალურ ადგილებისა; აქაც სანიტარული ექიმები ათვალიერებენ ყოველივე მივარდნილ ადგილს, ღებულობენ ზომებს ანტისანიტარულ პირობების მოსასპობათ.

ქალაქის ზედმეტად გავსება მცხოვრებლებით, უმწეო გადახვეწილების გამრავლება ქალაქში, საცხოვრებელი და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების შენობების დაზიანება, წყლის სიმცირე, კანალიზაციის სისუსტე, პირველ, საჭიროების საგნების სიძვირე, ყოველივე ეს ერთად აღებული ამწვავებს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას და ჰქმნის ისეთ პირობებს, რომლებშიაც ადვილი შესაძლებელია ყოველივე გადამდებ ავადმყოფობის ეპიდემიის გავრცელება ქალაქში, მაგრამ მუდმივი, განუწყვეტელი ყურადღება და ზედამხედველობა მცხოვრების ყოველივე მხარეებზე, რომელსაც სანიტარული ზედამხედველობა იჩენს, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც სანიტარული ექიმები იძულებულნი გახდენ ყოველ დღე წარმოუდგინონ ჯან. განყ. გამგეს დღიურის სახით მათი ყოველდღიური მუშაობის ანგარიში, ამით საშუალება ეძლევა განყოფილებას დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები ამა თუ იმ ნაკლის მოსასპობათ,—ძლიერ გააუმჯობესა სანიტარული მდგომარეობა და შედეგებიც ნათლათ სჩანს. ნახევარი წლის განმავლობაში ქალაქმა არ იცის არც ერთი გადამდები სენის ეპიდემია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბავშვებ შორის წითელას გავრცელებას. ქალაქის სანიტარული მდგომარეობა უკანასკნელ დროს ძლიერ შეიცვალა, მაგრამ საჭირო არის ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერებული მუშაობა, სამწუხაროთ, სანიტარული ზედამხედველობას, რომელიც შესდგება მხოლოდ 12 ექიმისაგან, არ შეუძლია ყოველთვის და ყოველგან წააწყდეს იმ უსუფთაობას, რომელსაც ყოველ დღე ნახულობს თვითეული მოქალაქე, ამიტომ ვთხოვთ ქალაქის მცხოვრებთ მიაწოდონ ცნობა პატარა ბარათით ინ ტელეფონით ყოველივე უსუფთაობის და სანიტარული ნაკლულევანების შესახებ, რომელსაც ისინი დღითიდღე ამჩნევენ ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში (მისამართი: სან. ეპიდ. გამგეს ჯანმრთელობის განყოფილებაში, ველიამინოვის ქ. № 3; ტელ. 9—12, ანუ ბინაზე, როზენოვის ქ. № 3, ტელ. 17—50—ექიმ მგელაძეს). .

გარდა ამისა, თვით მოქალაქე ვალდებული არის თვითონ იზრუნოს თავის კეთილდღეობაზე, თავის ჯანმრთელობაზე, ამიტომ თვითონ უნდა ეცადოს დაიცვას სანიტარული მოთხოვნილებანი და მიიღოს ზომები გადამდები სენის საზოგადოთ და კერძოთ ხოლერის გავრცელების თავიდან ასაცილებლად; უპირველესათ ყოვლისა მიაქციოს ყურადღება: არ დალიოს ქუჩაში ცივი წყალი, რომელსაც ბავშვები ყიდიან ტონელის წყლის სახელით, არ სჭამოს ქუჩებში მოხარშული შემწვარი საკვები მასალა, ხორცი, თევზი, ნამცხვარი და სხვა. არ სჭამოს, როგორც დამწიფებელი, ისე დამპალი ხილეულობა; მოერიდოს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს კუჭ ნაწლევების მოქმედების აშლას, რადგანაც კუჭ-ნაწლევების აშლა უმზადებს ნიადაგს ხოლერით დაავადებას; და თუ ვინმეს კუჭ-ნაწლევების მოქმედება აეშლება, დაუყოვნებლივ მიმართოს ექიმს.

განსაკუთრებული სანიტარული სამეულის წევრი **ვაჩაძე.**

ს. რესპუბლიკის თვალის ცენტრალური საავადმყოფო

ჩემი წერილის მიზანია პერიფერიებს და პროვინციებში მოსამსახურეებს და მცხოვრებლებს გავაცნო ერთი დიდი თვალსაჩინო დაწესებულება, რომელიც არსებობს ქალაქ თბილისში და რომელიც თავისი საქმიანობით და ამოცანებით იწვევს დიდს ინტერესს.

ამ დაწესებულებას, რომელიც ცნობილია შემდეგი სახელწოდებით: „ს. ს. ს. რესპუბლიკის თვალის ცენტრალური საავადმყოფო—სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა“, აქვს დასახული მიზნად გაუწიოს საექიმო დახმარება ყოველგვარი თვალით ავადმყოფებს და, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ის, თვალის ცენტრალური საავადმყოფო, მართლა თამაშობს დიდ როლს ამ მნიშვნელოვან და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეში.

ცენტრალური თვალის საავადმყოფო იტევს 30—35 თვალით ავადმყოფთა საწოლს. ცალკე განყოფილება არის მიჩენილი ქალებისათვის და ცალკე—მამაკაცებისათვის.

ამ საავადმყოფოს აქვს დაახლოვებით ოცდა ათი წლის ისტორია.

ამ ხნის განმავლობაში ხსენებული საავადმყოფოს მიერ ექიმი მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით თვალახილული, სინათლე დაბრუნებული აქვს ბევრს, ორივე თვალზე სინათლე დაკარგულებს, რომელნიც ვერ ახერხებდენ გარეშეების დაუხმარებლად არამც თუ შრომას, არამედ გავლა-გამოვლასაც და ამნაირად ოჯახს აწვებოდენ მძიმე ტვირთად. აქ ჩვენ ცნობისათვის მოგვყავს ზოგიერთ ავადმყოფთა სახელობითი სია:

1. ვერველიძე სოფია, მცხ. თბილისისა, 58 წლ. ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მარჯვენა თვალზე მიღებულ სინათლით შეუძლია მუშაობა.
2. გაბელავა ელისაბედ, თბილისის მცხ, 72 წლ. ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ ორივე თვალზე მოუვიდა სინათლე. მუშაობს.
3. ეგაზარიანცი ამეიაკ, ყარსის მცხ. 30 წლისა, ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მარცხენა თვალზე მიღებულ სინათლით შეუძლია მუშაობა.
4. აკოპიანი შუშანიკა, ახალქალაქის მცხ. 46 წლ., ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მარცხენა თვალი აეხილა.
5. მუსიევისა ეკატერინა, თბილისის მცხ., 60 წლ., ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მარცხენა თვალზე დაუბრუნდა სინათლე. მუშაობს.
6. ტანდაშვილი ივანე, სიღნაღის მცხ. 35 წლ., ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მარჯვენა თვალზე მიღებული სინათლით შეუძლია ყოველგვარი მუშაობა აწარმოოს.
7. ხაჩატუროვი გოსპერ—ორივე თვალით ბრმა. თბილისის მცხ, 30 წ., ოპერაციის შემდეგ ორივე თვალზე მიღებული სინათლით თამამათ შეუძლია მუშაობა.
8. ბოდალოვისა ზიმელია, ნუხის მცხ. 67 წლ., ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ ორივე თვალი აეხილა. მუშაობს.
9. მამულია დიმიტრი—თბილისის მცხ., 65 წლის, ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მიღებული სინათლით შეუძლია მუშაობა.
10. შაროვი მაქსიმე—სიღნაღის მაზრის მცხ., 50 წლ., ორივე თვალით ბრმა. ოპერაციის შემდეგ მიღებული სინათლით შეუძლია მუშაობა.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მოკლეთ გაუზიარო საავადმყოფოს უფროსი ექიმის, ვახტანგი მუსხელიშვილის შესახებ ჩემი შთაბეჭდილებს, რომელიც მე მივიღე მის შესახებ მემი, იქ—საავადმყოფოში წოლის დროს.

ექიმი მუსხელიშვილი, ჩემის აზრით, არის ნამდვილად შესაფერისი თავისი დანიშნულებისა.

როგორც თვალის ექიმი, ის გამოჩენილი სპეციალისტია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც.

ექ. მუსხელიშვილი კეთილ-სინდისიერად და გულმოდგინედ ეკიდება თავის საქმეს.

დილას ჩამოიარს და მიდის ყველა მძიმე ავადმყოფებთან, საუბრობს უკანასკნელებთან ტკბილად, აძლევს დარიგებებს და ნუგეშს.

ამის შემდეგ მიდის საოპერაციო ოთახში. სარგებლობს მოსამსახურე-თანამშრომლების საერთო სიმპატიით. არ შეიძლება არ გაუსვათ ხაზი მუსხელიშვილის სიუხვეს. ხშირად ექიმები და ფერშლები სწუხდენ და ლაპარაკობდენ, რომ „საავადმყოფოს არა აქვს თვალის საოპერაციო კარგი დანა. გვაქვს დანა, მაგრამ დაჩლუნგებულია და ბლაგვია“-ო.

ერთ დღეს ექიმ მუსხელიშვილმა, სადაც მე ვიწექი, იმ პალატაში მდგარ ფერშალ ქალს გადასცა საოპერაციო ორი ახალი დანა, რომელიც შეადგენდა მუსხელიშვილის კერძო საკუთრებას და უთხრა: „უძღვნი ჩვენი ღარიბი რესპუბლიკის თვალის საავადმყოფოს“-ო. ექიმი მუსხელიშვილის მხრით ეს საჩუქარი არ არის პირველი.

მ. სალამეშვილი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში.

პროფსაბჭოს კლუბის წევრებად.

პროფსაბჭოს კლუბის წევრებად სამდივნოს დადგენილებით მიიღებიან ის სტუდენტები, რომელნიც პროფკავშირის წევრებად ითვლებიან და ან კომპარტიაში და კომ ახალგაზრდათა კავშირში.

ა. ქ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შუამდგომლობა.

სამდივნომ დააკმაყოფილა შრომის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა სიღნაღის შრომის ინსპექტორის ამხ. ბუდალიანის თანამდებობიდან განთავისუფლების და მის მაგივრად ახალ ინსპექტორის არჩევის შესახებ.

ქიმიკოსთა კავშირში.

(პლენუმის სხდომა).

13 ივლისს შესდგა ქიმიკოსთა კავშირის პლენუმის სხდომა. სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ავეტისოვმა სამდივნოს მუშაობის შესახებ.

ბათომში დაარსებულია ქიმიკოსთა სექცია.

ამხ. ავეტისოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ იგი გამგზავრებული იყო სამდივნოს მხრივ საორგანიზაციო საქმეების მხრით, რაიც შეასრულა კიდეც. ბათომში არსებობს საღებავი ქარხანა, სადაც მუშაობს 19 კაცი. დაარსდა აგრეთვე ქიმიკოსთა სექცია. სექცია მიმაგრებულია გემოკვების კავშირთან.

ბორჯომის ქარხნები.

პლენუმმა დაადგინა: წინადადება მისცეს სააგარაკო მართველობას, რომ ბორჯომის ქარხნებს დროზე მიაწოდოს მასალა, ვინაიდან არსებულ ქარხნების მრეწველობა ხშირად ბრკოლდება საჭირო მასალის უქონლობის გამო.

კულტმუშაობისთვის.

პლენუმზე მოხსენება წაიკითხა მომავალ კულტმუშაობის გეგმის შესახებ ამხ: არაქელოვმა. გეგმა წარმოდგენილი ამხ. არაქელოვის მიერ ამხ. ბარაგანიანის მცირეოდენი შესწორებით მიიღო პლენუმმა.

პროცენტულ ანარიცხების შესახებ.

პლენუმმა გაარჩია აგრეთვე პროცენტულ ანარიცხების საკითხი და დაადგინა: გააუქმოს შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ფონდის 1 პროც. ანარიცხი და დარჩენილი თანხა ამ ფონდიდან გადარიცხოს უმუშევართა ფონდში.

წითელ ჯარში

ა. წ. 7 ივნისს, მესანგრე ასეულში მივიდენ დივიზიის უფროსის თანაშემწე ამხ. ართმელაძე და დივიზიის სამხედრო კომისრის თანაშემწე ამხ. ენუქიძე. მათ ინახულეს ყველა დარგი მუშაობისა: დაესწრენ პოლიტ-საათზე, რომელიც თითონ ამხ. ენუქიძემ ჩაატარა, სამხედრო მეცადინეობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ინახულეს წითელ-არმიელების საწოლი კარავები, რომლებიც სუფთათ იყო მილაგებული და შემდეგ დაათვალიერეს მესანგრე ასეულის მიერ გაკეთებული სანგრები და ბოგირები. საღამოთი ამხ. ართმელაძემ მიმართა წითელ-არმიელებს სიტყვით, რათა იმათ პირნათლად ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც დამცველია მშრომელი ხალხის ინტერესებისა.

ცხენოსანი ლეგიონი.

13 ივლისს შესდგა ცხენოსან ლეგიონის და საპნის ქარხნის მუშების გაერთიანებული პარტიული კრება. სხვა საკითხებთა შორის წესრიგში იყო დასმული:

მოხსენება რუსეთის მეთორმეტე ყრილობის მიერ ეროვნულ საკითხზე გამოტანილ რეზოლიუციის ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარებაზე. მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა ამხ. არაქელოვმა, რომელმაც მკაფიოთ და ნათლად გაარკვია საშუალებანი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის ნაციონალურ საკითხისშ შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის ცხოვრებაში გასატარებლად.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება აღფრთოვანებით ესალმება მთავრობის ნაბიჯებს და ფიცსა სდებს უფრო მტკიცეთ იდგეს რევოლიუციის სადარაჯოზე.

შემდეგ წითელ-არმიელებმა მოისმინეს ამხ. ხვიციას მოხსენება საპნის ქარხნის ტრესტის მუშების ყოფა-ცხოვრებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ მათი მდგომარეობა ბევრად უკეთესია ეხლა, ვინემ იყო წინეთ.

წითელ-არმიელების ცხოვრებაზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. კვარცხავა, რომელმაც ნათლად დაასურათა ძველი „სალდათის“ ცხოვრება და ეხლანდელი წითელ-არმიელისა. ასე, ამ რიგათ ორი მამოძრავებელი ძალა რევოლიუციისა მუშა და წითელ-არმიელი ერთი მეორეს ცხოვრებას ეცნობიან, რომ ერთი მეორის დახმარებით მიიტანონ წითელი დროშა კომუნიზმისა—საბოლოო გამარჯვებამდის.

ნაგრი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **ვენერიული საავადმყოფო.** სანიტარულ საამშენებლო ქვე-განყოფილებამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი ვენერიულ საავადმყოფოს გადასაკეთებლად, რომელსაც სჭირდება 12 ათასი მან. ოქროთი.

— **აგარაკი კოჯორის გაუმჯობესება.** ქალ. აღმასკომმა მიმდინარე სეზონისათვის შეაკეთა აგარაკი კოჯორი, რომელიც ძრიელ დაზიანებული იყო. 1 ივნისისათვის განზრახულ 95 სახლის მაგიერ შეკეთებული იქნა 132 სახლი. აგრეთვე შეკეთებული და დამზადებული იქნა საოჯახო ავეჯეულობა. კოჯორში ამ ჟამათ იმყოფება 3000 ბავშვი.

განათლების კომისარიატში.

— **საქართველოს ისტორიული სიძველეთა დაბრუნება რუსეთიდან.** საქართველოს აკადემიური წარმომადგენელი რუსეთში ამხ. ჯგუშია განათლების კომისარიატს ატყობინებს რომ მას უკვე მიუღია პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან ძველი ქართული ხელთნაწერები და აგრეთვე ამთავრებს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აზიურ მუზეუმიდან ხელთნაწერების მიღებას. ამასთანავე ამხ. ჯგუშია ამ დღეებში შეუდგება კიევში დაცულ საქართველოს სიძველეთა და განძთა ჩაბარებას უკრაინის სახ. კომისართა საბჭოსაგან.

— **პედაგოგიური კურსების გადაკეთება.** განათლების სახ. კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაადგინა ტფილისის პედაგოგიური კურსები მომავალ სამოსწავლო წლიდან გადაკეთებული იქნეს პედაგოგიურ ტეხნიკუმად და დაექვემდებაროს პროფეს. განათ. მთავარ მმართველობას.

— **ცხრა წლიანი სკოლების ქსელი.** განათლების კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაადგინა, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნას ცხრა წლიანი შრომის სკოლები რესპუბლიკის შემდეგ პუნქტებში: ქ. ტფილისში (საცდელ-საჩვენებელ სკოლებიანათ)—23 სკოლა, ტფ. მაზრაში 1, სენაკის მაზ. 3, ზუგდიდში 2, ფოთში 1, ქუთაისში 6, ხონში 1, სამტრედიაში 1, ჯიხაიაში 1, კულაში 1, ლეჩხუმის მაზ. 1, რაჭის მაზ. 1, შორაპნის მაზ. 2, გორის მაზ. 3, დუშეთის მაზ. 1, თელავის მაზ. 3, სიღნაღის მაზ. 2, ბორჩალოს მაზ. 1 და ოზურგეთის მაზ. 3.

— **სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების გამრავლება.** ამავე საბჭომ დაამტკიცა პროფ. განათ. მთავარმმართველობის გეგმა დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ქსელის გაფართოების შესახებ.

რკინის გზაზე.

— **ორთქლმავალების შეკეთება.** ივნისის განმავლობაში კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 3 ორთქლმავალს, რომლებიც უკვე გაუშვეს სამუშაოთ.

— **უბედური შემთხვევები რკინის გზაზე.** უბედურმა შემთხვევებმა ა.-კ. რკინის-გზაზე საგრძნობლათ იკლო. ივნისის განმავლობაში დაშავების შემთხვევა იყო სულ 34. აგრეთვე დაზიანებული იქნა 192 ფუთი ტვირთი. მაისში კი 91 უბედურ შემთხვევას ქონდა ადგილი.

— **ტვირთების დაკარგვა.** ივნისში დაიკარგა 4,880 ფუთი ტვირთი, აქედან 3,422 ფუთი დაილუპა მატარებლების შეჯახების დროს.

სხვა და სხვა.

— **საქ. საისტ. საეთ. საზოგადოებაში.** 20 ივლისს საღამოს 7-ნახ საათზე მთავარ არქივის შენობაში (ლენინის, ყოფილი ოლღის ქ. № 48, შესდგება საქართვ. საისტორო და საეთნოგრ. საზოგადოების კრება, რომელზედაც სარგის კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: 1) ქართული ანბანი ქრისტიანობის დამკვიდრებამდის—ცდა მე 24 საუკუნის ქართულ წარწერის წაკითხვისა, 2) ძველქართველ მებატონეების შესახებ—ლეონტი მროველი, კრება საჯაროა.

— **ცენტრ. სტატ. სამმართველოში.** ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველომ შინაგან საქმეთა კომისარიატის დახმარებით დამთავრდა ცნობების ამოკრება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ კომისარიატის არქივიდან, რომელშიაც თავმოყრილია ყოველ სასულიერო კონსისტორიათა მეტრიკული წიგნები. ამოკრებილია 1909, 11 და 19 წლების ცნობები. ამ ჟამად სამმართველო შეუდგა ხსენებული მასალის დამუშავებას.

— **აგრონომიული დახმარება.** ივნისში ოზურგეთის მაზრაში გაიხსნა 4 საცდელ-საჩვენებელი პუნქტი. აგრეთვე აგრონომიული დახმარება აღმოეჩინა გლეხებს ხეხილების მოვლა-გაშენების საქმეში.

— **მილიციის ახალი კომისარიატის გახსნა.** საბურთალოში გაიხსნა მილიციის ახალი კომისარიატი, რომელსაც ეწოდება მე-13 რაიონი.

— **საჰაერო ფლოტის კვირეული.** დივიზიის პოლიტ-განყოფილება შეუდგა მუშაობას საჰაერო ფლოტის კვირეულის ჩასატარებლად. განზრახულია მოეწყოს ორი საღამო ერთი საააგიტაციო და მეორე შემოსავლის მი-

ზემო-სვანეთი

ზემო-სვანეთის ადმინისტრატიული დაყოფა და გზების მდგომარეობა.

არც ერთი ნაწილი საქართველოსი ისე არ არის მოწყვეტილი ცენტრს, როგორც ზემო-სვანეთი უგზოობის გამო; ამიტომაც არის, რომ ბევრს წარმოდგენა არ აქვს სულ რამოდენიმე ორმოცდა ათი თუ ასი ვერსის დაშორებით მთის გადაღმა მცხოვრებ ქართველ ტომის ხალხზე, სვანებზე.

1921 წლამდი ზემო სვანეთი შეადგენდა ლეჩხუმის მაზრას. და ყოველივე დამოკიდებულება ადმინისტრატიული თუ ეკონომიური ჰქონდა ცაგერთან, მაგრამ საქართველოს კომისართა სახალხო საბჭოს მიერ 1921 წელს ის იქნა დამტკიცებული ცალკე მაზრათ, და სოფელი ბეჩო აღიარებული იქნა ზემო-სვანეთის მაზრის აღმასკომის მუდმივი ბინათ. ზემო სვანეთს იმიტომ ეძახიან, რომ სვანეთი გაიყოფება ორ ნაწილათ; ზემო და ქვემო სვანეთად. ქვემო სვანეთი ეხლაც ლეჩხუმის მაზრას შეადგენს. ქვემო და ზემო სვანეთს ყოფს შუაზედ, მუშურის და ლატფალის მთები. პირველზედ ზაფხულობით ფეხით გადადიან სვანები, მეორეზედ ზაფხულობით ცხენითაც შეიძლება სიარული. პირველი ესე იგი მუშურის მთა 11,000 ფუტის სიმაღლეზედ არის ზღვის ზედა პირიდან, მეორე კი 9.000 ფუტის სიმაღლეზე.

ამ მთებით ქვედა სვანეთი დაშორებულია უგზოობის გამო ზედა სვანეთს და დატოვებულია ლეჩხუმის მაზრის ნაწილათ. ქვედა სვანეთს ზამთარ ზაფხულობით ცხენით სავალი გზა, ცხენის წყლის პირათ სულ გახსნილია ცაგერამდის, თუმც მგზავრობა მეტად სახიფათოა გზის უვარგისობის გამო; მოდიხარ ცაგერიდან ზემო სვანეთში, მოყვები ცხენის წყლის პირს ზევით ჩოლურამდის, ხან ლაშხეთამდის, (40 ვერსია ცაგერიდან) დაბლა ჯურომულში, ცხენის წყალი მიქრის ყვირილით, მიაქვს უშველებელი ქვები, ზევით თვალ უწვდენელი მთაა, შენ კი შუა ფერდოზედ პატარა ბილიკზედ მიდიხარ ცხენით, მისი განი არ აღემატება არშინ ნახევარს, მაგრამ ალაგ ალაგ ისეთი ვიწრო არის, რომ ცხენის ფეხები ძლივს ეტევა, ეს ბილიკიც უსწორ მასწოროა, ყოველ ცხენის მოხვევაზედ, შიშის ზარი და ჟრუანტელი გაგივლის ტანში და იტყვი, თუ ეხლა ჩავარდი, მეორეთ ვერ გამობრიყვებს ვერავინ აქეთ წამოსავლელათ.

სხვა გზის უქონლობის გამო სვანები მაინც იძულებული არიან ამ გზით დაიკავონ კავშირი ცაგერთან და ქუთაისთან.

თუ გახდი ბედნიერი და გადაურჩი გაუმაძღარი ცხენის წყლის ტალღებს, მოდი ჩოლურში, წინ მუშურის მთა გიდევს გადმოსავალი, კიდევ უფრო ძნელი სამგზავრო. ამ მთის მწვერვალი უნდა გადაიარო, გადალახო და ჩახვალ ზემო სვანეთში სოფ. კალაში (15 ვერსია). ჩოლურში სვანები ქალამნებს ჩაგაცმევენ, წინ გამოგიძღვებიან და მოყავხარ მუშურს მთაზედ. აქ ცხენი ვერ ამოდის, ფეხით უნდა იარო, თუ რამე ბარგი გაქვს, თითო ფუთათ გაინაწილებენ, მოიკიდებენ კურტანს და მიაქვთ ისე, მეტის წამოღება არ შეუძლიათ. ეგეც როგორ ამოაქვთ იმ საშინელ მაღლობზედ, ესეც გასაკვირია.

მიდიხარ სულ მაღლა, მაღლა, ყოველ ორმოც საჟენზედ უნდა დაისვენო; შეხედავ მთის მწვერვალს, გიხარია, იმაზედ თუ ქვედი მორჩა ჩემი ტანჯვა, მერმეთ ქვევით დავეშვები და ცოტა სულს მოვითქვამო და ცდილობ როგორმე იჩქარო და ახვიდე ზევით მწვერვალზედ. ახვიდი თუ არა; გგონება აწი დაბლა დავეშვები; შენს წინ გაჭიმულია უფრო მაღალი მთა, რას იზამ დაღონებული შეუდგები ამ მთის მაღლობს, ჩვენი მგზავრი სვანები კი ღიმილით გვეუბნებიან, ბატონო ეს რა არის ამ მწვერვალზედ რომ შევდგებით: იმიდან დავინახავთ იმ მუშურის მთის მწვერვალს, კიბეებიანს და იმაზედ რომ გადავალთ, მაშინ დავეშვებით ჩვენს ზემო სვანეთის მიდამოებზედ. მეტი ჯანი არ არის უნდა წახვიდე. მიდიხარ, უკან მოიხედავ და რიგში ჩამწკრივებული, შენი მგზავრი სვანები, თითო თითოდ დაჩანცული, ოფლში გაწურული, ნელნელა მოაბიჯებენ ფეხებს. გადვიარეთ ეს მაღლობიც და შეუდექით მუშურის უკანასკნელ სიმაღლის გადასვლას, მის კიბეებს. ორივე გვერდით თვალუწვდენელი ხრამები თოვლ-ყინულით სავსე, შენ კი მიყვები ამ ვიწრო-განიან, ბუნებით აწყობილ ქვის კიბეებს, ხან ეს მთა თავზე დაგეხურება და იძულებული ხარ ხელები მოკიდო ქვას, რომ ძირს არ ჩამოვარდე და ისე აყვე ზევით.

როგორც იქნა ავედით ამ მუშურის მთის უკანასკნელ მაღლობზედაც, აქ პატარა ვაკე არის, ოთხი კვადრატიული საჟენი იქნება, მაზედ თოვლი არ არის, რადგან ირგვლივ სულ ხრამები არის, თოვლი ქარის მიერ ალბათ გადატანილი იქნება დაბლა. აქ ისვენებ, შენს თვალის წინ იშლება საუცხოვო ბუნება: ირგვლივ მაღალი მთები, თოვლით და ყინულით გათეთრებული, აქედან ხედავ კავკასიონის მაღალ ქედს თოვლით დატვირთულს, ხედავ სვანეთის ამაყ მთას — უჩბას, რომელიც ყველაზე მაღალია, ხედავ მშვენიერ ბუნებას და გავიწყდება ის ტანჯვა, რომლითაც ამოდი აქ. იცი? მეუბნება სვანი, ის მთა, უჩბა რომ ქვია სახელი, თათრული სახელია, ქართულათ რომ გადავთარგმნოთ, სამ თავიანი ეწოდება. მართლაც, რომ სამ თავიანი არის, სამი სარივით დასობილი, ცალ-ცალკე, იტყვი ცისთვის მიუბჯენია თავიო.

ასეთი მაგალითი მომხდარა აქ. ოცდახუთი კაცი ცაგერში, მათში ცხრა დიაკონიც ყოფილა, თანახმად ეპისკოპოსის მოწერილობისა რომ გამოცდა ჩაებარებიათ, სწორეთ აქ დასვენების დროს მოშვებულა თოვლი და თან ჩაუტანია ცხრა კაცი ხრამში, მათში შვიდი დიაკონიც, და იქ დაუსაფლავებია. ასეთი მაგალითები ხშირია.

ეხლა უნდა დავეშვეთ ძირს, დაბლა დაყინული თოვლი არის, მაგრამ ზედა პირი მზისაგან გამთბარია და კაცს ვერ იმაგრებს, მუხლამდი ვარდები შიგ, ხან წელამდისაც, ყოფილა მაგალითები, რომ მგზავრები სრულიად ჩავარდნილან შიგ და იქვე დასაფლავებულან. აქ ჩასასვლელათ ხშირათ ბაწრებს ხმარობენ, მაგრამ ეხლა სვანები უფრო მამაცურათ მოიქცნენ; დაჯდენ თოვლზედ, ჩოხის კალთას ხელი მოკიდეს და ჩაეშვენ ძირში, თვალის დახამხამებაში უკვე არ ჩანდენ. რომელი ჩქარი მატარებელი გაიქცევა ისე სწრაფად, როგორც ისინი მისრიალობდენ ამ თოვლზედ ზევიდან დაბლა. ჩვენც დაგვიგეს ნაბადი თოვლზედ, დავაჯექით სამმა ზედ და წავედით ძირს.

ჩავედით სოფელ კალაში (ზემოსვანეთის მაზრაშია), აქედან ცხენებით გავემგზავრეთ ბეჩოსკენ (45 ვერსია ბეჩომდის). გზა იგივე არის, რაც ცაგერიდან ჩოლურამდის, ცხენის წყლის პირას იყო, იმ განსხვავებით, რომ ენგურის ნაპირებს მივყვებით ქვევით. აი სწორეთ ამ ენგურის წყლის პირათ დასახლებულან ზემოსვანები.

მოვედით ბეჩოში. ჩავიბარე მაზრის აღმასკომის ყველა განყოფილებები და შეუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას.

გავემგზავრე დაბლა ფარის რაიონისკენ, გზა მიყვება ენგურს, სოფელ ჯვარამდის (ზუგდიდის მაზრაა), სადაც არის ჩვენი მაზრის საზღვარი, ასი ვერსი იქნება ბეჩოდან. აქ მოთავსებულა შვიდი თემი; ამ მხარეს სადადეშკელიანო მხარეს უძახიან, რადგან აქ დადეშკელიანები ბატონობდენ ძველად. ბეჩოს ზევითაც სოფელ კალამდის, სოფ. უშკულამდისაც შვიდი თემია; ამ თემების სვანები ამაყად ლაპარაკობენ: ბატონყმობა რა არის, ჩვენ არ ვიცითო, ამიტომ არის, რომ ჩვენ ყველა ოჯახს საკუთარი ციხე გვაქვს, და იქ კი სადადეშკელიანო მხარეს მარტო დადეშკელიანებს ქონდათ ციხეო. სვანეთის ამ ნაწილში გზა ზამთარ ზაფხულობით ღიაა, თუმცა აქაც ხშირათ ფუჭდება გზა, რადგან ალაგ-ალაგ მთები ზვავდება და მიმოსვლა ჩერდება. ძველ დროს მთავრობას გაუღია ამ გზის გასაკეთებლათ ფული, მუშაობაც დაუწყიათ, სამ არშინიანი გზა ზოგ ალაგას გაყვანილი არის, მაგრამ გზის გასაყვანათ გაღებული თანხა ქუთაისის გუბერნატორ სლავოჩინსკის გაუფლანგავს და გზის გაყვანაც შეჩერებულა. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ ძველი დრო, როდესაც ზემო სვანეთი შეადგენდა ლეჩხუმის მაზრას და ყოველივე სამაზრო დაწესებულება ცაგერში იყო მოთავსებული. რა აუტანელი ტანჯვით და წვალებით უხდებოდა სვანს ცაგერში მისვლა და იქ რაიმე მისთვის საჭირო საქმის გაკეთება. ს. ჯვარიდან (საზღვარი სამეგრელოსთან) ბეჩომდის 100 ვერსია, ბეჩოდან მუშურის მთამდის 45 ვერსი და მუშურიდან ცაგერამდის 35 ვერსი, სულ 180 ვერსი უნდა გაევლო სვანს, რომ სამაზრო მთავრობამდე მიეღწია. კარგი ამინდის დროს ასეთი მგზავრობა ორი კვირა გასტანდა და ცუდი ამინდის დროს კი ერთი თვეც.

გაუწია რა ყველა ამას საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში, ზემო სვანეთი გამოყო ცალკე მაზრათ. სვანეთში დიდი მიწის სივიწროვეა, მიწაც უვარგისია. ერთი ქცევიდან, თუ ის კარგი განოყიერებული არის, 15 ფუთი შეიძლება მხოლოდ მოსავლის მიღება. ასეთი დღიურები ოთხი ხუთი აქვს თითო ოჯახს და ეს ოჯახი კი 15—30 სულიდან შესდგება. ასეთი დიდი ოჯახები იმიტომ არსებობენ, რომ აქ გაყოფა ძმების შორის სირცხვილათ მიაჩნიათ და რომ გაიყონ, მიწა საყოფი არ არის. სვანი დღე და ღამე ცოლშვილიანათ მინდვრათ არის სამუშაოთ, და ნახევარი წლის სარჩო თუ მოიყვანა, კარგია, მეორე ნახევარი წლის სარჩოსათვის კი ის მიდის შემოდგომიდან გაზაფხულამდის სამეგრელოში და იმერეთში; იქ მუშაობს, იღებს ორიოდე გროშს, ყიდულობს სიმინდს და მოაქვს სვანეთში. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სიმინდის გადმოზიდვას თავის ოჯახში ის თითქმის ოთხი ხუთი თვეს მოუნდება.

სვანეთში აღებ მიცემობა ფულის საშუალებით ძლიერ იშვიათად სწარმოებს. ფულს აქ არავითარი გასავალი არ აქვს. გინდა რამე იყიდო და მიადგები სვანს, მომყიდე პური ან რძე ან ყველი ან რაიმე სხვა სურსათი, გეტყვის, ფული არ მინდა „ბარდანა“ (ე. ი. ნარმა) ფართალი მომეცი და მოგყიდიო, თუ არ გაქვს ფართალი, საპონი, ნემსი, ძაფი, ისე არაფერს არ მოგყიდის არც ერთი დუქანი, არც კერძო, არც სახელმწიფო და არც კოოპერატიული არ მოიპოვება მთელს სვანეთში.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ არც ერთი მხარე არ არის საქართველოში დარჩენილი, რომ ებრაელები იქ არ ცხოვრობდენ და აღებ მიცემობას არ აწარმოებდნენ, მაგრამ აქ კი, სვანეთში მათი ფეხიც არ დადგმულა არა მარტო იმიტომ, რომ გზა არ არის; სვანის სიღარიბე და თან სიძვირე მას აქ არ იზიდავს.

სვანების ზნე-ჩვეულებაში მეტად ბევრი ნაშთია ცრუმორწმუნეობის. იყიდე, მაგალითად, რაიმე საქონელი სვანისაგან, თუ ორშაბათიაის დღე, ან ხუთშაბათი, ან შაბათი, ამ დღეებისას ის არაფერს აღარ მოგცემს. ეკითხები-რისთვის? გიპასუხებს, რომ რაიმე საქონელი გამოგატანო, მე ამ დღეებში აუცილებლათ იმ საქონლის ზარალს ვნახავ ამ წელიწადშიო. თუ პური გაგატანე, პურის ცუდი მოსავალი მექნებაო; თუ ცხვარი გაგატანე, მგლები შემიჭამს ცხვრებსო და სხვა. სარწმუნოების გავლენა სვანეთში ძლიერია, ეკლესიებს პატივს სცემენ, მაგრამ უფრო პატივით ეპყრობიან ხატებს; ხატების სვანს ძალიან ეშინია. როდესაც მას ხატების წინ დააფიცებ, ის ყველაფერს გულწრფელად აღიარებს.

სვანებში ეხლაც არ მოსპობილა სისხლის აღების ჩვეულება, ერთი გვარის მეორე გვარზედ გადაკიდება. აქ სვანი ორნაირ სასჯელს იხდის: მოკლა სვანმა კაცი, ძველი კანონების თანახმად მას კატორღაში აგზავნიან, კატორღის გათავების შემდეგ ის ბრუნდებოდა სახლში, მაგრამ აქ მკვდრის ნათესავები მას სასიკვდილოთ გამოეკიდებოდენ თუ მას ვერ მოკლავდენ, მის ნათესავს მოკლავენ, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, მკლელს თუ რამე ქონება გააჩნდა მორიგებით უნდა მიეცა მკვდრის ნათესავებისთვის და შემდეგ ის იძულებული იყო დაეწყო ყაჩაღობა, რადგან მას არაფერი საარსებო წყარო არ რჩებოდა.

სვანს თოფი უყვარს, ყველაფერს გაყიდის მის შესაძენად და არც თავდასხმას მოერიდება მის შესაძენად. იანვარში 1923 წელში რაიონში გაგზავნილ მილიციონერ ქარსელაძეს გზაში მთიდან ჩასაფრებულ სვანმა ესროლა, მოსტეხა ფეხი და თოფის წართმევა მოუნდომა.

ასეთი მაგალითები ხშირი ყოფილა აქ ვაზნების გულისათვისაც.

საქონლის ქურდობაც ხშირია, მაგრამ თუ შენ დაკარგულ საქონელს მიაგენი და მონახე ქურდი, სვანური წესით ერთი მოპარული საქონლის მაგიერ სამი უნდა მოგცეს ქურდმა. თუ გაასაჩივრე და მთავრობას დააჭერინე სვანი და ის გამართლდა, იმ შემთხვევაში სვანური წესით მოჩივანი იხდის რამოდენიმე ძროხას ან ცხენს და სხვა.

სვანს ყველა საქმეები, სისხლის სამართლისაა ის თუ უბრალო საქმეა, ყველას შინაურათ მედიატორულ წესით არჩევს ფიცში მოყოლით, და სახალხო მოსამართლეს მხოლოდ უხდება მედიატორული განჩინებების დამტკიცება.

სწავლა განათლება ხომ სულ უკანა საფეხურზე სდგას მთელს ზემო სვანეთში. ეხლა სწავლა აქ მარტო სამ წლიანია. სამ განყოფილებას გაათავებს ბავშვი და მერმეთ მიდის სახლში, რადგან არ არის შრომის სკოლები რვა წლიანი კურსით, რაც აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს. მეფის დროს ყოფილა აქ თვით სოფ. ბეჩოში ორკლასიანი სასწავლებელი, ყოფილა სახელოსნო სკოლაც, სადურგლოს და სამჭედლოს განყოფილებებით თავის საკუთარ შენობაში, დანიშნული ყოფილა ინსტრუქტორები და მოწაფეები სახელმწიფო ხარჯზედვე იზრდებოდენ, აგრეთვე სწავლობდენ ხელობასაც.

მაგრამ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მეცადინეობაც შეწყვეტილა ხაზინის მიერ ფულით დახმარების აღმოჩენის შეწყვეტის გამო. საკმაო ბლომათ ჰქონდა სახელოსნოს იარაღები და მოწყობილება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაკარგულა და ბევრიც გაფუჭებულია, არიან მხოლოთ ინსტრუქტორები. რომ ვკითხე მათ (ერთი მათგანი, ინსტრუქტორათ გამოგზავნილი სამჭედლოში, უკურთხებიათ მღვდლათ: რადგან სვანის მღვდლის ქალიშვილი შეურთავს ცოლათ, ეხლა მღვდელიც არის და მჭედელიც): რათ არ გყავთ მოწაფეები და მეცადინეობას რათ არ აწარმოებთ, მიპასუხეს: ჯერ თვით ორ კლასიანი სასწავლებელში არ არის მეცადინეობა, მარტო სამ განყოფილებამდი სწავლობენ ბავშვებიო; მეორედ ის, რომ უწინ ბავშვები სახელმწიფო ხარჯზედ იზრდებოდენ და ეხლა კი დედ-მამა აღარ გვაძლევს ბავშვებსო რომ თავის ხარჯით იმეცადინონო, და ამ რიგათ ეს ერთად ერთი სინათლე ზემო სვანეთისა ექვსი წელიწადია, რაც დახურულია.

სხვა თემებში კიდევ უფრო ცუდათ არის სწავლა-განათლების საქმე, არ არის მცოდნე-გამოცდილი მასწავლებელი. მასწავლებლების უმეტესობას მხოლოდ ორკლასიანი სასწავლებელი აქვს გათავებული და რასაკვირველია სწავლა-განათლების ხელმძღვანელობა არ ეხერხებათ.

არც ხალხი ეკიდება სწავლა-განათლებას ბეჯითად, ბავშვებს აღარ უგზავნიან სკოლაში, სასწავლებლების შენობები ურემონტოთ ლპება, მის გაკეთებაზედაც უარს ამბობენ: ჩვენ არ შეგვიძლია სკოლები შევაკეთოდო, ეს მთავრობამ უნდა გააკეთოსო,—მიპასუხეს თემის აღმასკომებმა. მთავრობის დახმარება საჭიროა მაგრამ ხე-ტყე და შენობების დასახურავი ყავარი თვით მცხოვრებლებმა უნდა გაიღონო.

ამასთანავე საჭიროა გამოცდილი მასწავლებლების სვანეთში გადაგზავნა, ამისთვის კი აუცილებელია სვანეთში გაწესებული მასწავლებლის წინდაწინვე ორმაგი ჯამაგირით დაკმაყოფილება, რომ იყიდონ ფართლეული და ჩამოიტანონ აქ სურსათზე გადასაცვლელად, თორემ ისე მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებიან და სიმშილობის ატანა მოუხდებათ.

მაგრამ გზის გაუკეთებლად არაფერს არ ეშველება სვანეთში. სადაც კი მიხდებოდა თემებში კრებების გამართვა და ხალხის სხვადასხვა საკითხების გარჩევა, სვანები გულმოდგინებით მისმენდენ, კმაყოფილებას გამოსთქვამენ სხვადასხვა საკითხების მოგვარების გამო. მაგრამ არც ერთი კრება ისე არ ჩატარებულა, რომ გზის შესახებ არ ყოფილიყოს ლაპარაკი: ყველაფერს ვიზამთ, ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ თქვენ გზა მოგვეცით, გზა გამოიყვანეთო. როდესაც პირდები—გზას გამოვიყვანთ, უგზოობაში აღარ დაგტოვებთ, დაღონებული მელაპარაკებიან,—ასე გვპირდებოდა ბატონო მენშევიკებიც, მაგრამ მოგვატყუილეს.

ერთმა სვანმა ისიც კი მითხრა: თქვენ ნატანებიდან ოზურგეთში გაიყვანეთ რკინის გზაო, იქ, სადაც ხელის გულივით სწორი გზა იყოვო და აქ კი პატარა საურმე გზას გთხოვთო, მთელი ხალხი დაგეხმარებით მუშაობაში, ოღონდ დაიწყეთ გზაო.

მართლაც, რომ დავფიქრდები მთელი უბედურება სვანების, მისი სიღარიბე, მისი გაუნათლებლობა, მისი ჩამორჩენილობა, მისი ცრუმორწმუნეობა,—ეს ყველა მიეწერება უგზოობას. უგზოობას მიეწერება ის პროვოკაციული მუშაობაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა სვანეთში. უგზოობა საშუალებას აძლევდა აქ თავი შეეფარებიათ ზოგიერთ უპასუხისმგებლო ნაძირალა მენშევიკებს და ეროვნულ-დემოკრატებს და ათასნაირი ჭორები ევრცელებინათ: აჰა საბჭოთა ხელისუფლების დღეები დათვლილი არის, ერთი თვე აქვთ ვადა, უნდა გავიდენ საქართველოდანო, აჰა, ომი უკვე დაიწყო და სხვა ასეთები.

რევოლიუციის შემდეგ, უმიმაწყლო სვანებს დაუნაწილებიათ დადეშკელიანების მიწები, სახლები დაუნგრევიათ, ზოგშიც კი ღარიბები ჩაუსახლებიათ; ეს ფაქტი მიდის რეფორმის გარეშე.

ეხლა დადეშკელიანები სთხოვენ ხალხს სახლი მაინც მოგვეცით საცხოვრებლათო, მაგრამ მთელი თემი უარს ეუბნება. მაგას რომ ეხლა სახლი მივსცეთ მაგათ მუშაობა არ შეუძლიათ, ჩვენ დაგვიწყებენ თხოვას მოგვეხმარეთო და ჩვენ კი გვეყო მისი სამსახური, აწი კიდევ ბატონები აღარ გვინდაო. აი ასეთი სული ტრიალებს აქ.

სვანი მოწყვეტილი ფოსტას, ტელეგრაფს, ტელეფონს ორი სამი თვეობით, ცნობების მიუღებლობა.

ჩვენი მილიცია შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას და ბევრი უპასუხისმგებლო პირები და ყაჩაღები დააპატიმრა და სატუსაღოში მოათავსა; მიღებულია ზომები დარჩენილების ასალაგმავათაც. ადმინისტრა-

მუშათა ცხოვრება

ქალაქის წყალსადენში

ა. წ. 5 ივლისს, ამხ. სერგეევის თავმჯდომარეობით შესდგა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ადგილკომის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები; 2) ახალ ადგილკომის სარევიზიო კომისიის და კულტკომისიების არჩევნები; 3) დელეგატების არჩევნები სრულიად საქართველოს კომუნალურ მუშაკთა ყრილობაზე.

ადგილკომის მუშაობის შესახებ აკეთებს მოხსენებას ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ფირიაშვილი, რომლის მოხსენებიდან გამოირკვა ადგილკომის მუშაობის დიდი ნაყოფიერება ყოველ დარგში.

ამხ. ფირიაშვილის მოხსენების გამო კრების მიერ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა, ამხ. ფირიაშვილის მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ, საერთო კრება სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს მისი ნაყოფიერი მუშაობით. ამასთანავე ავალებს ახალ-ადგილკომს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს კულტურულ და ეკონომიურ საკითხებს. საზოგადო კრება ერთხმად უცხადებს მადლობას ადგილკომს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

შემდეგ მოხდა ადგილკომის არჩევნები. ახალ ადგილკომში არჩეულ იქნენ ერთხმად: ამხ. ფირიაშვილი, გაგნიძე და გოცირიძე. კრება ირჩევს აგრეთვე სარევიზიო და კულტ-კომისიებს.

დასასრულ ამხანაგი სერგეევი აცნობებს კრებას, რომ ახლო მომავალში მოხდება სრულიად საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ყრილობა, სადაც საჭიროა ორი დელეგატის არჩევა. კომუჯრედის მიერ დასახელებულ იქნა ასარჩევად ამხ. გაგნიძე, ფირიაშვილი და კანდიდატად ამხ. გოცირიძე (უპარტიო). საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო აღნიშნული სია.

მუშკორი ჩახჰანდი.

მუშათა სახლში

მოქ. დენისენკოს ყოფილი სახლი ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან № 71 და მოქ. ოსტროვორსკის სახლი ეგნატე ნინოშვილის ქუჩიდან № 24, ახლა გაერთიანებული არიან და შეადგენენ ერთ მუშათა სახლს. ამ ორ სახლის შუა გზაში გაშენებულია მშვენიერი ბაღი, აუზით და სარწყავი ონკანებით. მაგრამ წყლის სიძვირის გამო ონკანები ამ ჟამად დაკეტილია და ბაღი არ ირწყვება, რის გამო წვრილი მცენარეები თითქმის მთლად ნადგურდება. წყლის ხარჯვა სხვა მხრითაც დიდის დაზოგვით სწარმოებს.

მიუხედავად ამისა ტფილისის აღმასკომმა ივნისში დახარჯულ წყლის რაოდენობა წარმოგვიდგინა საგრძნობლად გადიდებული. ერთ სულზე წყლის გადასახადი მილიონამდე აღწევს და ზოგ ოჯახს კი 4—5 მილიონამდე ხდება.

კვირას, 8 ივლისს, აღნიშნულ სახლში მოხდა დგმურების კრება, რომელზედაც დაესწრო გამგე ბერერეჟნოვი. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი მამულაშვილი მდივნად კარუმოვი. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები. 1) წყლის დახარჯვა, 2) სანიტარული მდგომარეობა, პირველი საკითხის გარჩევამ გამოარკვია, რომ ყოფილან ზოგიერთი ამხანაგები რომელთა ბავშვები სახარტ ონკანებიდან უსარგებლოდ ღვრიან წყალს, რისთვისაც მიეცათ მათ წინადადება ადევნონ თვალყური ბავშვებს. მეორე საკითხის შესახებ გამოირკვა, რომ ზოგიერთი ამხანაგი არ იცავს სისუფთავეს და ეზოში ღვრის უსუფთაო წყალს, არჩეულ იქნა სანიტარული კომისია 3-მი კაცისაგან, რომელსაც დაევალა მიაქციოს ყურადღება აღნიშნულ მდგომარეობას და დაიცვას სისუფთავე მუშათა სახლის შიგნით და გარეთ. კრებამ იმსჯელა ბაღის მდგომარეობაზედაც და დაადგინა, არ მოერიდოს მის მოსარწყავ წყლის ხარჯს და იზრუნოს მის სარწყავ რეზინის შესაძენად ბაღის დასაცავად.

მუშა გ. ბ—შვილი.

მუშათა კლუბის წიგნთ-საცავ-სამკითხველოში

ცნობები წიგნთ-საცავ-სამკითხველოში 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივნისამდე შემდეგია:

წიგნთ-საცავში არის 15,130 ცალი სხვა და სხვა დარგის ძველი და ახალი წიგნი, აქედან ქართულ—2,789, რუსული—12,341. უსარგებლიათ წიგნებით—1,746 თვიურ მკითხველს. ამათგან: მუშა—453, წითელ არმიელი—249. მოწაფე—352, მოხელე—542, სხვა—150 სულ 1,746, აქედან 518 ქალია.

კავშირის მხრით განიყოფებიან შემდეგ ნაირათ: საბჭოთა მოსამსახურე—292 განათლებ. მუშაკნი—105, მელითონე—194, მბეჭდითი—142, მკურნალთა—79, რკინის გზის კავშ.—181, მეთამბაქოელი—113, მეტყავეთა კავშ.—111, გემო-კვების კავ.—67 სხვა 462.

წიგნთ-საცავიდან გამოუტანიათ წასაკითხათ 6,996 წიგნი, აქედან 695—ქართული სამკითხველოში შემოსულა გაზეთების წასაკითხად: მუშა—3.379, წითელ არმიელი-3.639, მოწაფე—3.519, მოხელე—3.420, სხვა—2.512 სულ 16,469, აქედან 695 ქალია.

კავშირის მგრით განიყოფებიან შემდეგით:

საბჭოთა მოსამსახ.—2,045, განათლების მუშაკნი—1,542, მელითონეები—1,949, მბეჭდითი კავშირი—2.116, რკინის გზელ. კავ.—2.187, მკურნალთა—1.366, მეთამბაქოელი—1,653, მეტყავეთა—1.153, გემო-კვების—1.002, სხვა—1,456.

ი. ელიაშვილი.

მუშა-მსახიობი-ლევან ბალაშვილი.

25 წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ამხ. ბალაშვილი, დაუღალავად, თეატრისადმი გულწრფელ სიყვარულით გატაცებული ემსახურება მუშათა გათვითცნობიერების საქმეს და მიუხედავად იმისა რომ მას ამ ძნელ გზაზე აუარებელი უსიამოვნება აქვს მიღებული, დღესაც არავის უსაყვედურებს და ნამდვილის მუშურის გულით უღიმის მწვავე მოგონებებს.

ამხ. ლევანი ჩვენ გაგაცანით 1907 წელს და იმავე წელს ის ჰალის სცენაზე მოვიწვიეთ და ვსთხოვეთ მონაწილეობის მიღება პიესებში და ხელმძღვანელობაც. იგი ამაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა, ამით მან ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

გასაოცარი ენერგიით ეკიდებოდა ხელოვნების საქმეს ამხ. ლევანი. ისე არ გამოვიდოდა სცენაზე, რომ ამა თუ იმ ტიპის განსახიერებისათვის არ შეესისხორცა, არ განეცადა ბუნებრივი სინამდვილე ამ ტიპისა, არ შეეთვისებია სიღრმე მისი განცდისა და ის ცოცხლად არ გადაეცა მაყურებელ მუშებისათვის, რის გამოც მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა განაპირა უბნებში.

— ასეთ მძიმე აუტანელ შრომას ზედ ერთოდა ის, რომ ამხ. ბალაშვილი ლუკმა პურისათვის განაწამები, იძულებული იყო ადელხანოვის ქარხანაში ემუშავა რამოდენიმე წლის განმავლობაში.

— ქარხანაში მისვლა დილის 6 საათზე, დაბრუნება სამუშაოდან საღამოს 7 საათზე; ერთს საათის შემდეგ რეპეტიციაზე წასვლა; იქ დარჩენა ღამის 12 საათამდე; წარმოდგენები ღამის 1—2 საათამდე, დილით კვლავ სამუშაოზე წასულ პარტიული კრებები და თუ გავითვალისწინებთ ადვილი წარმოსადგენია ფიზიკური დაუძლურება, რაიც ხშირი მოვლენაა ასეთ თავგანწირულ მუშისათვის.

— ბალაშვილის მოღვაწეობა სასცენო ასპარეზზე აღსანიშნავია კიდევ იმით, რომ მან თავის ცხოველმყოფელ ტემპერამენტით განაახლა, გამოაფხიზლა თეატრის მიმდევრები გარე უბნებში. მან თავის გრძნობიერ თამაშით, თვალებზე მოგვრილ ბუნებრივ ცრემლებით იქამდის აღამაღლა ხალხის თვალში თეატრის მნიშვნელობა, რომ ბევრი ჩამორჩენილი, გადასროლილი ცხოვრების ბორტზე ახალგაზრდები დაუბრუნა პატიოსან შრომას.

— ბალაშვილის სასცენო მოღვაწეობა, იწყება დაახლოვებით 1895 წლიდან. მას შემდეგ ის არ მოშორებია თბილისის გარე უბნებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 2—3 წელიწადს, რომელიც დაჰყო მან კავკავში. მაგრამ იქაც არ დავიწყებია მას დაწყებული წმინდა საქმე და დიდი შრომით ხელი შეუწყო ადგილობრივ თეატრ ქართულ დასის შედგენაში, რასაც სიამოვნებით მოიგონებენ კავკაველი ამხანაგები.

— დღევანდლამდის თუ არ გვქონდა დრო რომ ეს დაუღალავი მუშა ხელოვნებისა შეგვეფასებინა და ამით ჩვენი მოჭირნახულეს სული და გული ახალ იმედებით აგვეტოკა, დღეს დადგა დრო, როდესაც ჩვენ უნდა შევსძლოთ ამხ. ბალაშვილის ღირსეულად დაფასება, ვინაიდან მას მიუძღვის დიდი შრომა და ღვაწლი მუშების წინაშე.

ახ.-ამწ. გ. გ—ძე.

ზნით. უკანასკნელს ექნება ფართო ხასიათი.

შრომის ბირჟა

სუფსიდიის მიცემა. შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიის წინაშე რათა მკერვალთა ოთხ არტელს მიეცეს სუფსიდიის სახით 2 მილიარდი მან.

— **ა.—კ. ბირჟის წარმომადგენელთა ყრილობა.** სექტემბრის პირველ რიცხვებში განზრახულია ტფილისში მოწვეულ იქნეს ა.-კ. ბირჟების წარმომადგენელთა ყრილობა.

— **უმუშევრები.** 18 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდენ 764, ჩაეწერა ახალი უმუშევრები—139, გაიგზავნა სამუშაოზე 42.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებულ წერილში: **„სახალხო ბანკი და მისი როლი“** გაიპარა კორექტურული შეცდომა.

სწერია: „მდგომარეობა ჩვენში არ იყო ხელსაყრელი ბანკის წარმოებითი მოქმედებისათვის“. **უნდა იყოს:** „წარმატებითი მოქმედებისათვის“.

ცია, თუ ის სისწორით ასრულებს თავის მოვალეობას, სვანს ძლიერ მოსწონს და ემორჩილება მის განკარგულებებს. ყველა თემებში ჩვენმა წარმომადგენლებმა განუმარტეს ხალხს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, სიმტკიცე საბჭოთა ხელისუფლებისა, ყველა დაჩაგრულ ეროვნებისათვის ხელის გაწოდება და დახმარების აღმოჩენა საბჭოთა ქვეყნების მიერ. სვანი გამოფხიზლდა, დარწმუნდა საბჭოთა მთავრობის ძლიერებაში და პროვოკაციული ჭორების ანკესზე ის აწი არ წამოეგება.

სვანეთში პოლიტიკური მუშაობაც ცხოველდება და შედარებით ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ.

საჭიროა ამ ზაფხულშივე შეუდგეთ გზის გაყვანას. ეხლავე დაწყებული უნდა იქნას მუშაობა ტელეფონის და ტელეგრაფის გასაყვანათ. როგორც ერთში, ისე მეორეში სვანები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ, უფასოთ დაუმზადებენ ტელეგრაფის ბოძებს, უფასოდაც იმუშავებენ. ამ გზის დამთავრების შემდეგ დასასრული მიეცემა სვანების ტანჯვას, შესაძლებელი გახდება სვანმა ურმით გადმოიტანოს ერთი მგზავრობით ის, რის გადმოზიდვას სამი ოთხი თვე უნდება ზურგით და ცხენით; მოისპობა ნიადაგი ბოროტმოქმედებისათვის, პროვოკაციისათვის და ცრუმორწმუნეობისთვის.

გზის გაყვანის შემდეგ საშვალება მიეცემა ყველას ისარგებლოს სვანეთის ძვირფას სამკურნალო მჟავე წყლებით, რომლებიც აქ ბლომათ მოიპოვება, დიდებული ჰაერით და სხვა ბუნებრივი სიმდიდრით.

გზის გაყვანა, რომ ქუთაისი,—ცაგერი-ჩოლური-კალა-ბეჩოს მიმართულებით მოხდებოდეს კარგია, მაგრამ რადგან მუშურის მთა ელობება წინ და იქ კი ოთხი ვერსის მანძილზე გვირაბია საჭირო, ეს კი დიდ ხარჯებს გამოიწვევს, გზა ისევ ბეჩოჯვარი—ზუგდიდის მიმართულებით უნდა იქნას გაყვანილი ამ მიმართულებით გზის გაყვანა გაცილებით ადვილია. სოფელ ჯვარამდის ზუგდიდიდან საავტომობილო გზა არის, ჯვარიდან კი ბეჩოსკენ ბილიკი იწყება და ძველი მთავრობის დროს დაწყებული გზა უნდა იქნას განახლებული და დამთავრებული.

სვანეთს აქვს საუკეთესო ნაძვნარიანი და ფიჭვნარიანი ტყე, რომლის საექსპლოატაციოთ გამოყენება ენგურის წყლის საშუალებით შეიძლება. ეხლაც დიდძალი ტყე იჭრება და მზადდება ენგურში ჩასაშვებათ ერთ ერთ მოიჯარადრის მიერ, რის შესახებაც ცნობა მაზრის აღმასკომს არ ქონია, და რის გამოსარკვევათ მიღებულია ზომები. როგორც ამ დამზადებული ტყის ღირებულება, ისე დანარჩენი ტყის ექსპლოატაციის უფლება უნდა ჰქონდეს გადაცემული ზემო სვანეთის მაზრის აღმასკომს და მთელი შემოსული თანხები ამ ტყეების ექსპლოატაციიდან მოხმარებული უნდა იქნას გზის გამოსაყვანად.

ეხლა ორიოდე სიტყვა სვანების და ოსების მეზობლობის შესახებ. ერთი წელიწადი არის მას შემდეგ, რაც სვანეთის და ოსეთის შუა (რომელიც თერგს ოლქს ეკუთვნის), გზა დაკეტილია, როგორც მიმოსვლა, ისე აღებმიცემობა შეჩერებულია ერთი მეორეში. მიზეზი ამ კავშირის გაწყვეტისა ყოფილა შემდეგი: ერთი წლის წინეთ, ექვსი სვანი უნახავთ ოსებს თავის სოფელში—ბახსანში, მთის გამოქვაბულში მძინარენი, უცაბათ შეუტყობინებიათ მთელი სოფლისათვის, დასხმიან თავს და დაუხოციათ სუყველანი, რადგან უფიქრიათ—ესენი საქურდლათ იქნებოდენ მოსულნიო—მას შემდეგ იმ სვანების ნათესავებს და მემკვიდრეებს მოუნდომებიათ სამაგიეროს გადახდა და თავზედ დასხმა ოსეთის იმ სოფელზედ, სადაც ხსენებული სვანები მოკლეს. ამ დღიდან ოსებს შეკრული აქვთ გზა. ოცდა ხუთი კაცი დღედაღამ დარაჯობდა იმ წვრილ ბილიკს უღელტეხილზე, რომლის საშუალებით მიმოდიოდენ სვანები და ოსები ერთი მეორეში. შემოთვლილი ქონდათ ოსებს, რომ არ გადმოვიდეს აქეთ სვანი, თორემ მოვკლამთო, ისე სვანებს ქონდათ შეთვლილი.

მივიღეთ, რა ეს ყოველივე მხედველობაში, მაზრის მილიციის უფროსის მ. ძიძიგურის მეთაურობით გავგზავნეთ დელეგაცია ოსეთში (ბახრონი). დელეგაციაში შევიდენ ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექიმი გ. ნიჟარაძე. ყოფილი განათლების განყოფილების გამგე ალი დავითიანი და სხვა სვანებიც, ხალხიდან არჩეული.

დელეგაცია ორ კვირეს დარჩა იქ. მგზავრობის დროს საჭირო შეიქნა ორი კაცი გაგვეგზავნა წინ თეთრი დროშით, რომ შეეტყობინებიათ ოსებისთვის, სვანეთიდან დელეგაცია მოდის მოსალაპარაკებლათ, შესარიგებლათ და არა საომრად; დელეგაცია ჩავიდა **ბახსანში,** მაგრამ ბახსანელები ცივათ შეხვდენ. სვანეთთან მორიგების საკითხს.

ჩვენ სვანები არ გვესაჭიროება ც მათთან არც არავითარი მორიგება გვინდაო. დელეგაცია იძულებული შეიქნა წასულიყო ქალაქ ნალჩიკში, იმათ მთავრობასთან.

ნალჩიკის მთავრობამ კარგათ მიიღო ჩვენი დელეგაცია, სიხარულით შეხვდა იმ ამბავს, რომ სვანეთში მთავრობა ყოფილა. საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოგზავნილი, მათთან ყოველივე სადაო საკითხების მოვაგვარებთო, უპასუხა ჩვენს დელეგაციას ნალჩიკის მთავრობამ. მართლაც ჩვენს დელეგაციასთან ერთად წამოვიდენ ნალჩიკიდან იმათი წარმომადგენლები ბახსანში, შეუკრებიათ ხალხი, განუცხადებიათ, რომ ასე ახლო წინძმე ერზედ გადაკიდება, როგორც თქვენ ხართ, ყოვლად დაუშვებელია, დაუდვიათ პირობა ერთი-მეორეში, რომ ასეთი ამბები მეორეხელ არ განმეორდება; მკვლელობის დამნაშავენი, პასუხისგებაში მიუღიათ. გაუხსნიათ ორი გადასავალი გზა, ამ გადასავალზე რომ მომავალში არ ექნეს რაიმე ექსცესებს ადგილი, დაუტოვებიათ ექვსი სვანი და თორმეტი ბახსანელი ოსები დარაჯებათ. სვანური ჩვეულების მიხედვით ამოუღიათ მიწიდან ის ექვსი მოკლული სვანი და მოასვენეს სვანეთში.

ამიერიდან განახლდა ის ურთიერთობა და სავაჭრო დამოკიდებულება ერთმანეთში, რომელიც უკანასკნელ წლებში თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს სასიკვდილოთაც კი სდევნიდენ ერთმანეთს ეს ორი მეზობლად მცხოვრები ხალხი.

ამ ამბავმა ძლიერ გაახარა მთელი სვანეთი. ყველა თემების კრებები სიხარულით ხვდებიან ადგილობრივი მთავრობის მიერ ოსებთან კეთილგანწყობილების აღდგენას, გამოაქვთ სათანადო რეზოლიუციები, სადაც აცხადებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად ერთია, რომელიც ამყარებს ერებს შორის ძმობას და სიყვარულს და იცავს მშრომელთა ინტერესებს.

დღეს ზემო სვანეთი დიდი იმედით შეჰყურებს საბჭოთა მთავრობას და ელის მისგან თავის ცხოვრების განახლებას.

ქ. სტურუა.

ხელოვნება

სიმფონიური მუსიკის საღამო მუშათა კლუბში.

დირიჟორობს შვებულებიდან დაბრუნებული სახელმწიფო ოპერის კაპელმეისტერი ონისიმე ბრონი. სიმფონიურ ორკესტრს მოქ. ბრონი დირიჟორობს ტფილისში პირველათ, მაგრამ უკვე თავიდანვე სჩანს, რომ ახალგაზრდა მაესტრო ახალი კაცი არ არის ხელოვნების ამ დარგში. ორკესტრი ემორჩილება დირიჟორს და ამიტომ შესრულება ნათელი და მწყობრი გამოდის. შეიძლება არ დაეთანხმოთ მოქ. ბრონის მიერ ზოგიერთ მუსიკალურ ნაწარმოებების გაგებას, მაგრამ ეს წმინდა სუბიექტიური შეხედულებაა—მოქ. ბრონის მუსიკალობა და საქმისადმი სერიოზული მოპყრობა ეჭვს გარეშეა.

პროგრამა არ არის შედგენილი წმინდა სიმფონიურ ხასიათის საორკესტრო ნაწარმოებებიდან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პროგრამა შინაარსიანი და საინტერესოა. პირველი განყოფილება დაიწყო ამბრუაზ ტომას ოპერა „მინიონის“ უვერტიურის შესრულებით. ეს ფრანგი კომპოზიტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პირველ ხარისხოვან მუსიკოსათ. ამბრუაზ ტომა დიდხანს იდგა პარიზის კონსერვატორიის სათავეში (Academie des boux arts) და ამ ასპარეზზე სახელი გაითქვა იმით, რომ მეტათ მაღლა დააყენა პარიზის მუსიკალური აკადემია, წმინდა ხელოვნების დარგში კი მას თავისთვის სახელი არ შეუქმნია. მისი ნაწარმოებები ეხლა მხოლოთ მის სამშობლოში თუ სრულდება; მას ორი ოპერა აქვს: „მინიონი“ და „ჰამლეტი“—არც ერთი მათგანი დიდ მუსიკალურ ღირებულებას არ წარმოადგენს

უვერტიურამ ორკესტრის შესრულებაში საკმაოთ მწყობრათ ჩაიარა, მაგრამ ინტერესის გაღვიძება აუდიტორიაში მას მაინც არ შეუძლია.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მოქ. ბრონს დიდებულ და პოპულიარულ მენუეტტა ბოკერინის გაგებაში. ეს დამახასიათებელი ნიმუშია მეთვრამეტე საუკუნის მუსიკის—და შესრულებული უნდა იქნეს სტილის დაცვით, მოქ. ბრონი, პირველ ყოვლისა, ჩქარ ტემპს იღებს, რაც არღვევს სტილს და რიტმიულ სურათის მკაფიოთ გამოხატვას.

შემდეგ მენუეტტის ყველა თემები დამოუკიდებელი არიან და აქ უფრო გარკვეული ფრაზიროვკაა საჭირო. მოქ. ბრონი დინამიურ დასურათებებს მიმართავს და ბოროტათ სარგებლობს pianissimo-თი—ეს კი სწორი არ არის,—უმჯობესია აღებული იქნეს უფრო სწორი რიტმი.

საუცხოვოთ შესრულდა ორკესტრმა ნორვეგიის კომპოზიტორის სვედსენის ორი მშვენიერი მელოდია. მოქ. ბრონმა შესძლო ხმების სრული მელოდიისა და ორკესტრში ხმების თანასწორი განაწილების მოცემა. მელოდიების შესრულება დამთავრებული იყო ც მან დიდი აპლოდისმენტებიც გამოიწვია. როგორი ახალი, დროის მიერ ხელშეუხებელია შვეციისა და ნორვეგიის კომპოზიტორების მუსიკა, როგორი მელოდიური, კეთილშობილი და სხვადასხვანაირი თემებია მათ ნაწარმოებებში.

პროგრამის შემდეგი ნომრებიდან უნდა აღინიშნოს სენ-სანსის სიმფონიური პოემა „Danse Macabre“ (სიკვდილის ცეკვა) აქ კომპოზიტორი მუსიკალურ სიმვოლიკაში გადმოგვცემს ბნელ ძალების ზეიმს: შუაღამეა, მკვდრები დგებიან საფლავებიდან და გამოდიან მთვარის მიერ განათებულ სასაფლაოზე. სიკვდილი აიღებს ჰიანურს, მომართავს და დაიწყებს თავის ბნელ მუსიკას-ვაკხანალია აიტაცებს მკვდრებს და ყველა ერთად დაიწყებენ ტრიალს, სიკვდილი კი უკრავს ჰიანურზე.

მაგრამ აი მზის პირველი სხივი, ყივის მამალი—დგება დილა და ყველაფერი ბნელი ჰქრება. მშვენივრათ აქვს გადმოცემული სენ-სანს მთელი სურათი თავის „Danse Macabre“-ში, მოქ. ბრონს ყველგან სწორათ არ ჰქონდა გაგებული კომპოზიტორის აზრი. არ შეიძლება ტემპის შენელება შუა პოემაში, პირიქით, ტემპი თანდათან უნდა ძლიერდებოდეს. ამას გარდა საჭიროა ვიოლინოს მშვენიერ თემის გამოყოფა. მშვენივრათ ასრულებს სოლოს ჰიანურზე მოქ. სტუპელი (ორკესტრის კაპელმეისტერი).

„მომაკვდავი გედი“—სენ-სანსის სიმფონიური სურათი კარგათ იყო შესრულებული; ლამაზათ გამოჰყო ძირითადი მელოდია ვიოლინოზე მოქ. კაპელნიცკიმ. ლისტის 2 უნგრული რაპსოდია გადაღეჭილი ნაწარმოებია—გაუგებარია რისთვის იყო საჭირო ამ რაპსოდიის შესრულება სერიოზულ კონცერტზე.

კიდევ უფრო შეუფერებელია ასეთ კონცერტისათვის დელიბას ვარიაციები.

მუსიკოსი.

— **მუშათა კლუბისა და თეატრის აგება ქვემო-ავჭალაში.** ქალ. სანიტ. საამშენებლო ქვეგანყოფილებამ დაიწყო შენება მუშათა კლუბისა და თეატრის ქვემო-ავჭალაში.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პოეტ იონა ვაკელის ლექსებისა და პოემების კრებული „შარავანდედი“ წიგნი შეიცავს 144 გვ. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 1 საქ. მან.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** მუშათა ცენტრალურ კლუბში შაბათს 21 და კვირას 22 ივლისს შესდგება სიმფონიური კონცერტები ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

პროვინციაში

დ. სუფსა.

სუფსა კარგა მოზრდილი დაბაა, აქ სცხოვრობს დაახლოვებით 200 კომლამდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის გარშემო მდებარე სოფლებს, რომლებიც შედიან სუფსის თემში და როგორც ადმინისტრატიულად, ისე ეკონომიურად მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი დაბასთან.

სუფსას არ აქვს დიდი ხნის ისტორია; დაარსდა 1883 წლიდან რკინის გზის გაყვანის შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში სუფსა საგრძნობლად გაიზარდა. ეხლაც დღითი დღე იზრდება, რაც უნდა მიეწეროს მის გეოგრაფიულ მდებარეობას. სუფსა არის ჯვარედინი გზა ქ. ფოთსა და გურიას შუა. აქ არსებობს სხვა და სხვა ადმინისტრატიული და კულტურული დაწესებულებანი, როგორიცაა სახალხო სახლი, სკოლები, კინემატოგრაფი, სარაიონო კოოპერატიული კავშირი და სხვა.

სუფსის მცხოვრებნი განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას უწისქვილობის გამო. თხუთმეტი ვერსის მანძილზე არსებობს მხოლოდ რკინის გზის ნავთსადენის ერთი წისქვილი, ერთი პატარა ქვით და ის ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და დაიდგას მეორე და, თუ შესაძლებელია, მესამე უფრო მოზრდილი ქვაც.

ამასთანავე საჭიროა წისქვილთან მეტი ძალის მქონე მოტორი ამუშავდეს, რომ მან შესძლოს ელექტრონის ენერგიის მიწოდება სუფსის სხვა დაწესებულებებისთვის. ამის მოგვარება ძნელი საქმე არ არის, საჭიროა მხოლოდ სურვილი და მეტი ენერგიის გამოჩენა.

დ. მ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

ბათომის გაზ. „ბრძოლა“-ში № 54 მოთავსებულია წერილი ვიღაც ალიმურად-თემურ-ოღლის, რომელიც ეხება შორაპნის სამპარტკომის და მისი მდივნის მუშაობის, აკრიტიკებს მას უმზგავსო ტერმინებით: „საქმენი საგმირონი“, „კუთხური შოვინიზმი“, „არა მკითხე საქციელი“ და სხვა ასეთებით.

ეს წერილი მისი უშინაარსობით და ქუჩური ლანძღვა-გინებით მოგვაგონებს მენშევიკების „ერთობას“ და, მგონია, ავტორი ამა წერილისა თავისი მეშჩანური შეხედულებით ამა თუ იმ საკითხზე შორს არ წასულა მენშევიკებს. მენშევიკური „მრწამსი“ მას შეუსწავლია მისი სამსახურის დროს ერობაში და თუმცა ქერქი გამოუცვლია ამ ბოლო დროს, მაგრამ გული ისევ მენშევიკური დარჩენია.

თემურ-ოღლი თავის წერილში ეხება მასწავლებელთა უზნეო საქციელს, ბუხნიკაშვილის ამბავს და შორაპნის სადგურის უფროს მოქ. საყვარელიძეს. საჭიროდ არ მიმაჩნია თემურ-ოღლის უმტკიცო სიცრუე მისი წერილის შინაარსისა, რადგან ამ სიცრუეში თვით ავტორი დარწმუნებულია, მაგრამ ტყუილები მისი დამახასიათებელი თვისებაა, ამიტომ გაზეთში გადმოტანია. მე მინდა მხოლოდ მკითხველების ყურადღება მივაქციო მას, რომ პარტკომი ამ საქმეებში ჩაერია იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო და თავისი ჩარევით მოაწესრიგა ეს საკითხი ისე, როგორც ამას მოითხოვდა საქმე. თემურ-ოღლი შეურაცყოფილია მით, რომ მისი ნათესავი მასწავლებელი შეპანსკი უზნეო და უსინდისო საქმისათვის გაძევებულ იქნა სკოლიდან განათლების კომისარიატის მიერ, მეორე კი მოქ. საყვარელიძე, შორაპნის სადგურის უფროსი, შემჩნეულ იქნა ბოროტებაში და კიდევაც გამოაშკარავებულ იქნა ის, თემურ-ოღლი კი სცდილობდა ხელი დაეფარებინა მისი ამხანაგისთვის; ეს მან ვერ შესძლო და ყველა ამან აიძულა „ლიტერატურული“ გამოსვლები დაეწყო.

არ არის გასაკვირალი თემურ-ოღლის პროვოკაცია, რადგან ის ხშირად ეწევა ასეთებს. მხოლოდ გვიკვირს „ბრძოლის“ რედაქციისაგან, რომ მან გაუშვა შეუმოწმებელი წერილი. საჭიროა მეტი სიფრთხილე, რომ პარტიულ-საბჭოთა გაზეთი არ გახდეს ასეთ პროვოკაციულ მასალის გამავრცელებელი.

ქ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა, რეგისტრაციისა და ზედამხედველობის წესის შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საზოგადოება და საზოგადოებათა შენაერთი და კავშირი, რომელიც თავისი მოღვაწეობის განხორციელებისათვის საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოგების გამორჩენას არ მისდევს,—რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს ქვემოდ ჩამოთვლილ მუხლებში აღნიშნული წესით:

1. იმ საზოგადოებისა და კავშირის წესდების პროექტი, რომლის მოქმედების რაიონიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლით განისაზღვრება, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სამს ცალად განცხადებებითურთ პროექტის დამტკიცების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს დამფუძნებელთა სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი. დამფუძნებელთა რიცხვი უნდა იყოს შვიდზე არა ნაკლები და მათ ხელი უნდა მოაწერონ განცხადებას.

2. წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს: 1) საზოგადოების ან კავშირის სახელწოდება, მიზანი, სამოქმედო რაიონი და მოქმედების ხასიათი; 2) წევრთა ჩაწერისა და გასვლის წესი; 3) საწევრო გადასახადის რაოდენობა და მისი გადახდის წესი; 4) აღმასრულებელი ორგანოების შედგენილობა და ორგანიზაცია, მათი მოწყობის და შევსების წესი, მათ მიერ განსაგების საქმე და მათი სამყოფელი ადგილი; 5) საზოგადო კრებათა მოწვევის ვადა და წესი და მათ მიერ განსაგები საქმე; 6) ორგანიზაციის მოქმედების ანგარიშების წარმოებისა და სამეურნეო ნაწილის გამგებლობის წესი; 7) წესდების შეცვლის წესრიგი; 8) საზოგადოების ლიკვიდაციის წესი.

3. უკეთუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინააღმდეგია წარდგენილი წესდების დამტკიცებისა, იგი მოვალეა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან წესდების წარდგენისა, აცნობოს საზოგადოებისა ან კავშირის დამფუძნებელთ წესდების დამტკიცება ან უარი მისი დამტკიცებისა. უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნულ უნდა იქნეს ეს უარის მოტივები.

შენიშვნა: დამტკიცებაზე უარი უნდა ითქვას, უკეთუ დასაარსებელი საზოგადოება ან კავშირი თავისი მიზნებით ან მოქმედების მეთოდებით ეწინააღმდეგება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

4. დამტკიცების უარი დამფუძნებელთა მიერ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში 1 თვის განმავლობაში დღიდან დასაბუთებული დადგენილების მიღებისა (მუხლი 2).

5. საზოგადოების ან კავშირის წესდების შეცვლა შეიძლება ცვლილებათა ხელახალი დამტკიცებით იმ წესისამებრ, რომელიც აღნიშნულია ზემო ნაჩვენებ მუხლებში.

6. წესდების დამტკიტების შემდეგ საზოგადოება ან კავშირი, ვიდრე ის მოქმედებას დაიწყებდეს, უნდა რეგისტრაციაში გატარებულ იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

7. უკეთუ დამტკიცებული და რეგისტრაციაში გატარებული საზოგადოების ან კავშირის მოქმედებაში გამოაშკარავებულ იქნა მე-4 მუხლში დასახელებული ნიშნები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა დაადგინოს მისი დახურვა და მოქმედების ლიკვიდაცია.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა განსაჩივრება მოხდება მე-5 მუხლში ნაჩვენები წესით.

8. საზოგადოებისა, კავშირისა და შენაერთის მიერ გამოცემულ ლიტერატურაზე გავრცელდება ბეჭდვითი გამოცემათათვის არსებული საზოგადო საცენზურო წესები.

9. უკეთუ საზოგადოებამ ან კავშირმა წესდებას გადაუხვია, ისე კი, რომ მის მოქმედებაში არა სჩანს მე-4 მუხლში აღნიშნული ნიშნები, მას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინადადებით, მიიღოს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ღონისძიება, რათა მოსპობილ იქნეს ჩადენილი დარღვევა წესდებისა. თუ ეს წინადადება არ იქნა ასრულებული, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დახურავს საზოგადოებას ან კავშირს.

10. ამა დეკრეტის გამოცემამდე დაარსებული საზოგადოება, კავშირი და შენაერთი, უკეთუ არ მოახდენს რეგისტრაციას ერთი თვის ვადაზე ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან,—დახურულად იქნება გამოცხადებული.

11. დეკრეტი ესე არა ვრცელდება სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ გაერთიანებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებზე, რომელთა დამტკიცება, რეგისტრაცია და ზედამხედველობა მოხდება მათთვის დადგენილი განსაკუთრებული წესით; არა ვრცელდება აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებზე, რომელთა მიზანსაც მათი წევრების ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს, (როგორიც არის, მაგალითად, კოოპერატიული ორგანიზაცია) და რომელნიც სპეციალურ კანონდებულებათა საფუძველზე მოქმედებენ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ჰ. ხაბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 7.
თბილისი—სასახლე.

დეკრეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სხვა და სხვა კავშირთა და შენაერთთა ყრილობების და სრულიად საქართველოს მასშტაბით თათბირების მოწვევის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგენილ იქნეს წესად, რომ სხვა და სხვა ორგანიზაციისა, კავშირისა და შენაერთის ყრილობა ან სრულიად საქართველოს მასშტაბით თათბირი შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ ორგანიზაციის ინიციატივით ან უწყების მიერ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინასწარი ნებართვით.

2. ყრილობისა ან თათბირის მომწვევმა ორგანიზაციამ, კავშირმა ან შენაერთმა ერთი თვით ადრე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უნდა წარუდგინოს:

ა) ცნობა—სამ ცალად—იმის შესახებ, რომ წესდებას რეგისტრაცია ექნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და იგი დამტკიცებულია სათანადო ორგანოს მიერ.

ბ) კავშირისა ან შენაერთის აღმასრულებელი ორგანოს დადგენილება—სამ ცალად—ყრილობის ან თათბირის მოწვევის დროის, ადგილის და მიზნის შესახებ.

გ) ყრილობისა ან თათბირის მიერ განსახილველ საგანთა სია—სამ ცალად.

დ) სრული ცნობები—სამ ცალად—წარმომადგენლობის ნორმისა და ყრილობის ან თათბირის წევრთა განზრახულ რიცხვის შესახებ.

3) შინაგან საქმეთა კომისარიატმა ერთი კვირის განმავლობაში:

ა) უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა ხსენებული საზოგადოება ან შენაერთი რეგისტრაციაში გატარებული, ხოლო მისი წესდება დამტკიცებული.

ბ) უნდა გამოარკვიოს,—ეთვისება თუ არა განსახილველ საგანთა სია საზოგადოების ან შენაერთის წესდებას და მიზნებს.

გ) უნდა შეეკითხოს სათანადო უწყებას, სასურველია თუ არა თათბირის ან ყრილობის მოწვევა.

4. ყრილობისა ან თათბირის მოწვევის ნებართვა ან აკრძალვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა აცნობოს ორგანიზაციას და კავშირს ორი კვირით ადრე ყრილობისა ან თათბირის დღემდე.

5. ამა დეკრეტის წესი არ გავრცელდება:

ა) პროფესიონალური კავშირების ყრილობასა და კონფერენციაზე;

ბ) კომუნისტური პარტიის ყრილობასა და კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნება კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესით;

გ) მეურნეობის განყოფილებათა და ცალკე დარგების გამგეთა წმინდა საუწყებო ხასიათის თათბირზე, როდესაც თათბირის მოწვევა მხოლოდ უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ჰ. ხაბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 17
თფილისი—სასახლე.

სავალდებულო დადგენილება. № 16

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა.

„17“ ივლისი 1923 წ.

ყოველგვარ პლაკატების, აფიშების და განცხადებების ქალაქში გამოქვეყნების საქმის მოსაწესრიგებლათ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიმდინარე წლის პირველიდან ქალ. ტფილისში ყოველგვარი განცხადებები, აფიშები და პლაკატები გაკრულ იქნას მხოლოთ ქალაქის საafiშო ტუმბებზე, სვეტებზე და სხ. სპეციალურად საამისოთ მოწყობილ ადგილებზე ტფილისის აღმასკომის მიერ დაწესებულ გადასახადის გადახდით.

შენიშვნა: სააგიტაციო ხასიათის აფიშები და პლაკატები, აგრეთვე აფიშები უფრო ლექციების და კრებების დანიშვნის შესახებ, გადასახადისაგან თავისუფლდებიან.—

2. თეატრების და კინოების, ადმინისტრაციის, კონცერტების და ყოველგვარ საზოგადოებრივ გასართობების მომწყობი, და აგრეთვე მაღაზიების პატრონებს უფლება აქვთ თავიანთი განცხადებები, აფიშები და რეკლამები გამოაკრან მათ მიერ დაჭერილ შენობის კარებთან; ქალაქის სხვა ადგილებზე გამოსაკრავად-კი აფიშები, პლაკატები და განცხადებები უნდა ჩააბარონ ტფილისის აღმასკომის განცხადებათა გამკვრელ კანტორაში.—

3. უნებართვოთ ქალაქში გაკრული აფიშები, პლაკატები და განცხადებები ჩამორთმეულ იქნება, ხოლო თვითნებურათ გაკვრისათვის დამნაშავეს გადახდებათ ჯარიმა ჩერვონეცის მან. ადმინისტრატიული წესით თანახმად სრ. საქ. ც.-ა.-კ. მიერ დამტკიცებულ დებულების, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესების შესახებ.

4. ამ სავალდებულო დადგენილების გამოცემით გაუქმებულ იქნას ტფილისის ქალაქის რევკომის 1921 წ. ბრძანება № 45.

აღმასკომის თავმჯდომარე
ხუხიშვილი.
მდივანი **თიკანაძე.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული, შვილები ლიუბა და ალექსანდრე, რძალი ბარბალე ივანეს ასული გაფრინდაშვილი, სიძე ივანე ილიას ძე მურმანიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, დანარჩენი კი მამის

მღვდელი ეპიფანე პავლეს ძე
კანდელაკის

გარდაცვალებას. გასვენება შაბათს, 21 ივლისს, ქ. სამტრედიაში.

მცირე ხანის განმავლობაში გავდივარ სრულ კურსს ელემენტარ.
მათემატიკისას და ვამზადებ
პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე (უნივერსიტეტ. და ლენინის სახელობის ინსტიტუტ. ჩასაბარებლათ: ქართულ და რუსულ ენაზე) აგრეთვე მუშფაკზე, საერთო განათ. კურსებზე, საბებიო ინსტიტუტში (ქალებს) შესასვლელად. ნახვა და ჩაწერა 7—1 ს. 4—7 საათ. პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5). (978—3—1)

1922 წ. 6 ივლისს ჩემს მიერ ნოტარიალური წესით (№ 2231) ვასილ სოფრომის ძე ახვლედიანის სახელზე მიცემული რწმუნების ქაღალდი. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა **ჩაითვალოს გაუქმებულად.**
(979—I—1) **გერმან ახვლედიანი.**

დაიკარგა პირადობის მოწმობა სამხედრო კომისარიატისაგან მოცემული. გერონტი მაჩაიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (977—1—1)

დაიკარგა 8 კლ. გათავების მოწმობა მიღებული ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლიდან 1918 წელში. ვერა სამსონის ასულმა გაჩეჩილაძემ, ჩაითვალოს გაუქმებულად. (976—1—1)

დაიკარგა სთეფანე ვართანიანის სახელზე გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (980—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, [illegible] ქუჩა № 4